№ 116

1877—1905

№ 116

ოთხშაბათი, 13 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქცია ამითი აცნობებს თავის ხელის მომწერთ, რომ, ვისაც გაზეთის ფასი მხოლოდ 1 ივლისამდე აქვს შემოტანილი და შემოსატანს ფულს დააგვიანებს, გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

დოქტორი მედიცინისა

ვლ. ი. ინაშვილი

მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე შინაგანის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ.

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 31. (10—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ბძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვინ გაშავდა?

—

არავისთვის საეჭვო არაა, რომ გარეშე ძალას, რამდენადაც ძლიერი უნდა იყოს იგი, არ შეუძლიან ხალხის დამონავება, მის გულში ჩაძრომა და ხელის ფათური, მის გასაქარწყლებლად გამოგონილ ზომების განხორციელება, თუ თვით ამ ხალხის ერთი ნაწილი თავის პირად ინტერესების ძებნაში ამ გარეშე ძალას ხელს არ გაუწვდის და მის იარაღად არ იქცევა. უსამართლობა იქნება, ჩვენს დაბეჩავებაში ყველაფერი მხოლოდ გარეშე ძალას მივაწეროთ. არის თვით ჩვენშივე ერთი ნაწილი „საზოგადოებისა", რომელმაც მგლინავობა თავის ხელობად აქცია, ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება საზოგადოებრივ მოღვაწეობად აღიარა და თავისი უპრინციპობა საზოგადოებაში პრინციპად გამოიტანა. ჩვენს შემაფერხებელ ძალებთან ერთად საზოგადოების ეს ნაწილიც განსაკუთრებით უნდა გაიკრას სამარცხვინო ბოძზე,—ხალხმა იგი სამუდამოდ უნდა მოიწყვიტოს თავის გულიდან, რომ ამით მოიშოროს ის ელემენტი, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველთვის შეაქვს ორპირობა და ფარისევლობა. ეს „სახელოვანი" ნაწილი საზოგადოებისა იმ მხრივაც საყურადღებოა, რომ თავის მოთელილ ენის შემწეობით მუდამ ცდილობს ხალხს დაუმალოს თავისი ნამდვილი სახე, თავის მოქმედების ნამდვილი ფიზიონომია და საზოგადოებრივ იდეალების ბურუსში გახვიოს თავისი სილაჩრე და პირადი წვრილმანობა.

იყო დრო, როცა ასეთ საქციელს ჩვენში ცოტაოდენი გასავალი ჰქონდა; იყო დრო, როცა ის უკრიტიკოდ დაცემული ჯგუფი თავის ლათაიებისათვის მსმენელსა და დამჯერეს პოულობდა. მაგრამ ახლა ამასაც ბოლო მოეღო. დადგა დრო, როცა საზოგადოების ყალბ ნაწილს ნიღაბი ჩამოხადეს და ხალხის სამსჯავროს წინაშე წარადგინეს: კმარა საზოგადოების მოტყუება, დროა თქვენი ღირსი და შესაფერი ადგილი დაიჭიროთო.

ვის არ გაუგონია, თუ რა თავგამოდებით ყვიროდა (და მხოლოდ ყვიროდა) ჩვენი, ეგრედ წოდებული, „ინტელიგენცია"—იგივე ჩინოვნიკობა საზოგადოებრივ საქმეებზე, განსაკუთრებით ჩვენს ეროვნულ საკითხებზე. ამ ვაჟბატონებს რომ ჰკითხოთ,—„ენა ხალხის წმიდათა-წმიდაა, ენა ჩვენი ხალხოსნურ არსებობის უპირველესი საფუძველია". ამას ლაპარაკობენ, მაგრამ საქმით კი სულ სხვანაირად იქცევიან. დაესწარით, რომელსაც გნებავთ, საზოგადო კრებას, სადაც ეს ვაჟბატონები ბრძნულად ბჭობენ, თუნდა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის კრებებს. ერთს სიტყვასაც ვერ გაიგონებთ ქართულ ენაზე. ეს კიდევ არაფერია. როცა ამ კრებაზე ქართულად ლაპარაკი დავაპირე, ერთი ცნობილი ექიმი და მასთან ერთად მთელი საზოგადოება ყელში მწვდა: „რუსულად, რუსულადო". ყალბო ხალხო! სად გაჰქრა თქვენი სამშობლო ენისადმი ტრფიალება? ესაა „ენის სიყვარული", ეროვნულის „ინტერესების" დაცვა?

როცა ერთმა ცნობილმა პირმა, თავის დასაგმობ საქციელის გადასაფუჩეჩებლად, გამოაცხადა: „ვეძებეთ, ვეძებეთ და მთელს საქართველოში **მოსამზადებელის** კლასისთვის მასწავლებელი ვერ ვიშოვეთო",—მთელი კრებული პირდაღებული შესცქეროდა. მერე იცით, ვისგან შესდგებოდა ეს კრებული? იმ პირებისაგან, რომელნიც ამბობენ: ჩვენს ხალხს ავტონომია უნდა მოვუპოვოთო. ბრძენო ხალხო! როგორ ვერ ამჩნევთ თქვენს ულოღიკობას! მოსამზადებელ კლასებისთვის თუ მასწავლებელს ვერ პოულობთ, როგორ-ღა გსურთ მთელის ხალხის მართვა გამგეობას გაუძღვეთ? რატომ ასე მოკლედ სჭრის თქვენი გონება? რატომ ასე ადვილად აყალბებთ თქვენს „იდეალებს"? თქვენ გეწყინებათ, მაგრამ ჩემთვის ცხადია პასუხი; თქვენ არავითარი საზოგადოებრივი იდეალი არა გაქვთ და, სადაც რა მოგიხდებათ, ისე ლაპარაკობთ. ასეთია სიყალბის წესი: მაგრამ სრული სიყალბე ხსენებულმა საზოგადოებამ, სრული თავისი გაკოტრება გამოიჩინა ბ-ნ კორხანიდის საქმეში.

როგორც მოგეხსენებათ, ბ-ნი კორხანიდი მასწავლებლობს სათავად-აზნაურო სკოლის მოსამზადებელ კლასებში. ამ კორხანიდმა შეადგინა სახელმძღვანელო რუსულ ენისთვის. კორხანიდის „საქმის" გამოსაკვლევად შემდგარმა კომისიამ ვერაფერში ვერ ნახა ბ-ნ კორხანიდის მხრით საზოგადოებრივ ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება. „ბ-ნ კორხანიდისადმი მიმართული ბრალდება, რომ იგი იარაღია დეკანოზ ვოსტორგოვისა, არაფრით მტკიცდებაო". მართალია ეს? ჯერ ერთი, ბ-ნმა კორხანიდმა პირდაპირ წინადადება მიიღო ვოსტორგოვისაგან,—შეადგინე ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც ყოველ ეროვნებისათვის გამოსადეგი იქნებაო. ბ-ნ კორხანიდმ ეს წინადადება მიიღო,—ის მიეგება ვოსტორგოვის წინადადებას, შეადგინა სახელმძღვანელო, რომელიც მას მოეწონებოდა. ეს ფაქტია, რომელსაც არ უარყოფს თვით ბ-ნი კორხანიდიც. ახლა გკითხავთ თქვენ, ვინც იცნობთ მ. ვოსტორგოვს: შეიძლება ასეთ ადამიანის რაიმე იდეურ მიმართულებაზე ლაპარაკი? შეიძლება ადამიანმა სთქვას,—ბ-ნ კორხანიდს რაიმე საზოგადოებრივი იდეალები აქვსო? ვოსტორგოვთან ვინ მივა, ვინ დაიჭერს მასთან საქმეს და მიწერ-მოწერას გამართავს? აქ ორი აზრი შეუძლებელია. და თუ ვინმე ასეთ საქციელს ამართლებს, ის საზოგადოებრივის მხრივ არარაობას წარმოადგენს, კიდევ მეტი,—არარაობაზე უარესია.

ახლა მოისმინეთ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლების აზრი. ამბობენ: „კორხანიდი **ბევრ ჩვენგანზე უფრო რადიკალური და პროგრესიულიაო**".

მე მჯერა, რომ ბ-ნი კორხანიდი თქვენზე უფრო „რადიკალურია"; მაგრამ ახლა თქვენ მიბრძანეთ: რაღა ხართ თქვენ, ან სადაა თქვენი ადგილი საზოგადოებაში? ოი, სირცხვილო! ერთი ამათ ეზოშიაც ჩამოიარე, ეგების შენი არსებობა გაახსენდეთ.

ბ-ნ კორხანიდმა წარადგინა ეპარქიალურ საბჭოში მოსაწონებლად თავისი წიგნი არა დაბეჭდილი, არამედ—ხელ-ნაწერი. რას იტყვით ამაზე? ასეთი ადამიანი იდეური ადამიანია, თუ უბრალო მოვაჭრე, რომელიც წინდაწინვე ცდილობს თავის საქონლისთვის ბაზარი უზრუნველჰყოს? მითხარით: პედაგოგი, რომელსაც საზოგადოებრივ აზრის ნატამალი აქვს, მოიქცევა ამნაირად?.. წარმოიდგინეთ, თვით სახალხო განათლების სამინისტრომ აღკრძალა ხელნაწერების მოსაწონებლად წარდგენა. და თუ თქვენ ასეთ საქციელს ამართლებთ, ამით რას ამტკიცებთ? ერთს რასმე: თქვენი საზოგადოებრივი თვითშეგნება ბიუროკრატიის თვითშეგნებაზედაც დაბლა სდგას,—იმ ბიუროკრატიისა, რომლის მოქმედებას დღეს მთელი ქვეყანა კრიტიკის თვალით უყურებს. წინ-სვლაც ასეთი უნდა!

ახლა თვით წიგნის შესახებაც მოგახსენებთ. კომისია ამბობს: „რომ ბ-ნ კორხანიდის სახელმძღვანელო „Живое Слово" ვითომ ანტიპედაგოგიურია და ქართველებისათვის ანტინაციონალური იყოს,—არაფრით არ მტკიცდებაო". ვნახოთ, რამდენად მართალია ეს აზრი. ჯერ ერთი,—დღემდის უცხო ენა ჩვენს სკოლებში გაბატონებული იყო და თვით სკოლების არსებობას ჩვენი გადაგვარება ჰქონდა და აქვს მიზნად. აქედან ცხადია,—ყოველი იარაღი ამ გადაგვარების მისაღწევათ ანტიპედაგოგიურიცაა და ანტინაციონალურიც. ამას ხომ დამტკიცება არ უნდა? მაშ ბ-ნ კორხანიდის წიგნიც, როგორც ერთი ასეთ იარაღთაგანი, ანტიპედაგოგიურიც არის და ანტინაციონალურიც, როგორც მთელი დღევანდელი სკოლა. მეორე: პედაგოგიის ძირითადი პრინციპი, რომელიც მომდინარეობს ფსიხოლოგიურ კანონებიდან, არის შემდეგი: დაწყებითი წიგნის სასწავლი მასალა ამოღებული უნდა იყოს ხალხის კულტურულ ცხოვრებიდან, ის უნდა შეეთანხმოს ხალხის ბუნებრივ პირობებს, მის წარსულსა და დღევანდელ სოციალურ ვითარებას. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, რომლის წინააღმდეგ ვერც ერთი საზოგადო მოღვაწე, რა მიმართულებისაც უნდა იყოს იგი, ვერ წავა. მახსოვს, როცა მასწავლიდნენ „катались на конькахъ", და მასთან ამ „კატანიეს" თურმე დიდი მხიარულებაც მოსდევდა, მიკვირდა, ვერ წარმომედგინა რაზე იყო ლაპარაკი ან რა იყო სამხიარულო აქ, ან და როცა მაგალობებდნენ „береза кудрявая"-ს, ჩემს სულსა და გულს არაფერს არ ეუბნებოდა ეს „береза", გაოცებული ვიყავი და ვერ გამეგო, თუ რატომ უნდა მემღერნა მისთვის ქება-დიდება. ახლა ერთი მიბრძანეთ, ბრძენნო, ახალის „ნაციონალურის" სკოლის შესაქმნელად მოწვეულნო: ბ-ნ კორხანიდს, იმ კორხანიდს, რომელმაც სრულიად არ იცის არც ჩვენი ცხოვრება, არც აწმყო და არც წარსული, როგორ შეეძლო ჩვენი ცხოვრებისთვის შეეფარდებინა თავისი წიგნი? რასაკვირველია, არ შეეძლო. და თუ ეს მართალია, მისი წიგნი ანტიპედაგოგიურიც ყოფილა და ანტინაციონალურიც.

გავყვეთ შემდეგ. ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენის გადაგვარების ისტორიისთვის, იცის, რომ ეს პროცესი თანდათანობით მიმდინარეობდა, და თანდათან ავიწროებდნენ მშობლიურ ენის ფარგალს და ბოლოს მუნჯურ მეთოდის შემოღებით სულ ბოლო მოუღეს მას. მაშ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ სასკოლო პოლიტიკა ჩვენში გამოიხატებოდა მუნჯურ მეთოდისაკენ თანდათან მსვლელობაში. მაშ რამდენადაც წიგნი ამ მეთოდის განხორციელებას უახლოვდება, იმდენად იგი მავნებელია. ვოსტორგოვი კორხანიდს წერილობით წინადადებას აძლევს: „საბჭოს გადასაწყვეტი აქვს: შემოიღოს ან წმინდა მუნჯურ მეთოდის სახელმძღვანელო, ან წინადადება მოგცეს თქვენ, თქვენი სახელმძღვანელო სხვანაირად გამოსცეთ,—სრულიად გააძევოთ ადგილობრივის ენის ტექსტი, ხოლო ყოველი ახალი სიტყვა, აგრეთვე ის სიტყვები, რომელთა გადათარგმნა, თქვენის აზრით, საჭიროა, განსაკუთრებულ შრიფტით დაიბეჭდოსო". ბ-ნმა კორხანიდმ დაახლოვებით შეადგინა ასეთი სახელმძღვანელო, მაგრამ რაკი შენიშნა, რომ მისი მეგობრები სათავად-აზნაურო სკოლიდან არ არიან კმაყოფილნი ასეთ მის ქცევით, ცოტაოდნად უხვია ვოსტორგოვის გზას: წერილების ბოლოში ზოგი სიტყვები სთარგმნა. არსებითათ მაინც მის წიგნს ყველა ნაკლი შერჩა. ის სრულებით არ შეუშლის ხელს მასწავლებელს მუნჯურ მეთოდით ასწავლოს ბავშვებს, რადგან მას შეუძლიან სრულებით არ სთარგმნოს სიტყვები, ან სთარგმნოს ზეპირად და მით დედაენის წინასწარ შესწავლა უარჰყოს. ეს კარგად ესმოდა ვოსტორგოვს. აი, რას სწერს იგი „სასულიერო უწყებაში": „სასკოლო საბჭოს ხარჯით გამოიცა ბ-ნ კორხანიდის ხელახლა შემუშავებული სახელმძღვანელო რუსულის ენისა, რომელიც უფრო შეეფერება საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მოთხოვნილებას და **რაოდენადმე მაინც გამოსადეგია ყველა ადგილობრივ სკოლებისთვის, მიუხედავად ეროვნებისა**. „გაზეთ „კავკაზ-"ში უსახელო ავტორი, რომელიც, თვით ბ-ნ კორხანიდის თქმით, ვოსტორგოვია, სწერს: „Живое Слово"ს ავტორი (კორხანიდი) სრულიად საფუძვლიანად ამჯობინებს რუსულ ენის შესწავლაში ბუნებრივ ანუ მუნჯურ მეთოდს". ასე აფასებს ვოსტორგოვი ბ-ნ კორხანიდის წიგნს, და—სრულის სისწორითაც ამასვე მოწმობს ბ-ნ კორხანიდის წიგნის ხმარება გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, სადაც მის წიგნს ექომაგება ცნობილი თევდორე ჟორდანია.

ამის შემდეგ, როგორც კომისია, ისე მთელი სასკოლო კრება აცხადებს კორხანიდის წიგნი არც ანტიპედაგოგიურია და არც ანტინაციონალურიო!.. ბ-ნი კორხანიდი სრულიად „გამართლდა" სასკოლო კრებაზე. მარა რას ნიშნავს ეს გამართლება? მხოლოდ ერთს,—სასკოლო კრების გაშავებას. მაშინ, როდესაც ყოველი ერი ცდილობს შექმნას თავისი კულტურულ განვითარების საღი პირობები, როცა ყველა იმის ცდაშია, რომ გზა გაუკაფოს თავის საუკეთესო მომავალს, სასკოლო კრება აღიარებს, ჩვენ არ ვხედავთ ჩვენის საზოგადოებრივ მომავლის წინააღმდეგ მოქმედებას არც ბ. კორხანიდის მოსამზადებელ კლასებში მასწავლებლობაში, არც მის სახელმძღვანელოში და არც იმ გზაში, რომელიც მან აირჩია ამ სახელმძღვანელოს მოსაწონებლადო!..

კარგია, ბატონებო, ძალიან კარგი! ბ-ნ კორხანიდის საქმეს ამით ცოტაოდენი საზოგადოებრივი მნიშვნელობა მაინც ეძლევა. ამ ამბავმა გამოააშკარავა, თუ რა აზრი უდევს საფუძვლად თქვენს მოქმედებას და როგორ ემსახურებით მომავალს. გამოაშკარავდა თქვენი საზოგადოებრივი არარაობა და ამით ბრმებსაც თვალი აეხილათ...

და ესეც თავის რიგზე მნიშვნელოვანი საქმეა...

პეტრე სურგულაძე.

საოლქო თვითმართველობა ავსტრიაში

ზ. ავალიშვილისა.

საოლქო თვითმართველობამ, რომელიც, ორმოცი წელიწადია, რაც მინიჭებული აქვს ავსტრიის სხვადასხვა ნაწილს, დიდი სამსახური გაუწია ავსტრიის ერებს, რადგანაც საშუალება მისცა განვითარებულიყვნენ თავისუფლად და სისწრაფით. ამ თვითმართველობის წყალობით, ეროვნული სოლიდარობა დამყარდა. ამისავე წყალობით, გაუნათლებელ ტომიდან შეგნებულ ხალხად შეიქმნენ, მაგალითად, სლოვენები კრაინაში. ავსტრიის ერებმა იმდენად ისარგებლეს თავისუფლებითა და თვითმართველობით, რომ შემდეგში ვეღარ დაჰკარგავენ თავისებურ ეროვნულ ელფერს. ავსტრია თავის მაგალითით გვიმტკიცებს, რომ ეროვნულ აღორძინებისთვის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ავსტრიის ლანდტაგები თავიანთ მისწრაფებითა და მოქმედების ხასიათითაც უფრო პოლიტიკურ კრებებს, პარლამენტებს თუ მოგვაგონებენ, ვიდრე საერობო კრებებს. თუ ისეთ პროვინციებში, როგორიც ბოჰემია და გალიცია, მთელის ევროპის პოლიტიკის ძაფებია გადახლართული და თუ ხალხი იქ თავისს ბედ იღბალზე მეტად შეგნებულად და მხნედ ზრუნავს; და თუ ოდესღაც ლიბერალური წესწყობილება ახლა განვითარებულ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს—ყველა ეს ხომ სიცოცხლისა და აუცილებელ ბრძოლის ნიშნებია, ყველა ეს ძლიერ არის დამოკიდებული ვიწრო კავშირზე, რომელიც ავსტრიის საკითხს გერმანელების და სლოვენების პოლიტიკურ მომავალთან აქვს.

ეჭვს გარეშეა, რომ ავსტრიის საოლქო თვითმართველობის წეს-რიგი ძლიერ ნაყოფიერი გამოდგა იქ, სადაც მისს განსახორციელებლად შესაფერი პირობები იყო, სადაც ან ერთი ხალხი იყო დასახლებული, ან და რომელიმე ერი დანარჩენებს გაცილებით სჭარბობდა. საქმე რიგიანად ვერ გარიგდა მხოლოდ იქ, სადაც სლავიანების ბრძოლა გერმანელებთან მეტად მედგარი და რთულია და სადაც, დიდი ხანია, ოცნებობენ საკუთარ „სახელმწიფოზე"—სახელდობრ, ბოჰემიაში.

მაგრამ აქ უნდა გვახსოვდეს, რომ მეტად ძნელია თავისუფალ სახელმწიფო დაწესებულებათა მოწყობა იმ ქვეყანაში, სადაც სხვადასხვა ტომის ერები სცხოვრობენ ერთად.

ეს სიძნელე არა სჩანს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი არ არის ჯეროვანად განათლებული და შეგნებული და დესპოტიზმის ქვეშ სცხოვრობს, ან და მაშინ, როდესაც ხალხს თვითმართველობა აქვს, დეცენტრალიზაციასა და ფედერაციაზე დამყარებული. ავსტრიამ, კერძოდ, სულ რამდენიმე ხანია, რაც პირველ გზას თავი მაანება და მეორე გზაზე სიარულს შეუდგა. რანაირიც უნდა იყოს ის წყობილება, რომლისკენაც მიისწრაფვის ავსტრიის ზოგიერთი ნაწილი, მაინც უნდა აღვიაროთ, რომ საოლქო თვითმართველობის სახით განხორციელდა, რამოდენიმედ მაინც, ავსტრიის საკონსტიტუციო კანონის შესანიშნავი მუხლი, რომელმაც თავისებური „დიდი ხარტია" მიანიჭა სხვადასხვა ერებს. ეს მუხლი ღაღადებდა, რომ „ყოველ ხალხს ხელ-შეუხებელი უფლება აქვს—დაიცვას და განავითაროს თავისი ეროვნება და თავისი ენა".

თუმცა ამ უფლების იურიდიული მნიშვნელობა, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია, მაგრამ მაინც ცხადია, რომ კონსტიტუცია აკრძალავს ეროვნულ ინტერესების დევნას. იმავე კანონით „სახელმწიფო აღიარებს ყველა ადგილობრივ ენების თანასწორობას სკოლასა, დაწესებულებასა და საზოგადო ცხოვრებაში".

ამ პრინციპის განხორციელებას ხელს უშლის ენათა სიმრავლე და სიტყვების—„ადგილობრივი ენა"—ბუნდოვანობა, აგრეთვე ერების ქიშპობა და ის გარემოება, რომ ცენტრალური მთავრობა დამოკიდებულია ზოგიერთ ეროვნებაზე, რომ ზოგიერთი ერი ოცნებობს „ცალკე სახელმწიფოზე" და ისტორიულ უფლებაზედაც.

ეს კი უნდა ითქვას, რომ სკოლას, სასამართლოს, ადმინისტრაციასა და თითქმის კანონებსაც დიდი წარმატება დაეტყოთ, რადგანაც ესენი დაახლოვებულნი არიან ხალხთან. რაკი ადგილობრივი ენები სავალდებულო არის სასწავლებლებში, დაწესებულებებში და ოლქების საწარმომადგენლო კრებებში, აქ გაეროვნებას ყოველთვის შედეგად გადემოკრატება მოსდევს.

საოლქო სეიმების საკანონმდებლო მოვალეობა, მათი პოლიტიკური და ეროვნული საქმე, მათის მოქმედების ასპარეზი, ოლქების ისტორიული თავისებურობა—ყველა ეს ხდება იმის მიზეზად, რომ ავსტრიის ოლქი არის საფეხური, რომლის საშუალებითა შეიძლება გადასვლა უბრალო თვითმმართველ პროვინციიდან (როგორიც არსებობს, მაგალითად, პრუსიაში) იმ ხასიათის ავტონომიურ პროვინციაზე, რომელსაც წარმოადგენს, მაგ., კანადა.

თეორიულად რომ გავსინჯოთ, კანადის ავტონომია ბრიტანიის პარლამენტის კანონზე არის დამყარებული. ამავე პარლამენტს შეუძლიან ეს კანონი გამოსცვალოს, უარჰყოს და სხვ.; ამიტომაც კანადა წარმოადგენს იურიდიულად ავტონომიურ პროვინციას და არა სახელმწიფოს. მაგრამ რა ძალა აქვს სახელს, როდესაც საქმით კანადა წარმოადგენს მთელს ფედერაციას, თავისებურ პოლიტიკურ და სოციალურ ყოფა-ცხოვრების პატრონს.

ავსტრიის სახელმწიფომაც შექმნა ავსტრიის „ოლქი", მაგრამ მან მიანიჭა უკანასკნელს მოქმედებისათვის შემოფარგლული წრე, თვითონ კი კანონმდებლობის, მართვა-გამგეობისა და სასამართლოს უმთავრესი მოვალეობანი დაიტოვა განუყოფელად. მთელს ადგილობრივ კანონმდებლობას ჰქმნის ავსტრიელ მეფის სურვილი, შეზღუდული ადგილობრივ ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით საოლქო სეიმში.

სახელმწიფოს მთლიანობას კიდევ ბევრი გარანტია აქვს შერჩენილი.

თანდათან აღმოჩნდა წინააღმდეგობა ოლქებსა და მთლიან ავსტრიის მდგომარეობას შუა. დეცენტრალიზაციის განსახორციელებლად საჭირო იყო ძლიერი მთავრობა ცენტრში.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლო შესაფერი ნაყოფი მოეტანა დეცენტრალიზაციას. მხოლოდ დამოუკიდებელს და ძლიერ ცენტრალურ მთავ-

რობას მტკიცე და ცხად ეროვნულ-პოლიტიკურ საფუძველზე შეეძლო მთელის სახელმწიფოს ინტერესები უზრუნველეყო და უმაღლეს მოსამართლის საპატიო როლი ეკისრა, აგრეთვე ზედამხედველის როლი საოლქო და საერო საქმეებშიაც.

სწორედ ეს აკლია ავსტრიას. ცენტრალურ მთავრობას ხშირად სჭირდებოდა ცალკე ერებთან შეთანხმება. ამგვარად დაიწყო ავსტრიის ერებს შუა ბრძოლა სახელმწიფო უფლების გამო.

ამიტომაც ოლქების ფედერაცია ბევრს ერთად-ერთ საშუალებად მიაჩნია ამ ბრძოლის მოსასპობად.

იქ კი, სადაც რომელიმე ერი დანარჩენებს სჭარბობს და ძლიერი ცენტრალური მთავრობა არსებობს, ავსტრიისებურს საოლქო თვითმართველობას შეუძლია მიზანს მიაღწიოს და სიკეთე მოიტანოს.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

11 ივლისი.

პარიჟი, 11 ივლისი. საფრანგეთის დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ მაროკოს კონფერენციას ენკენისთვეში მოიწვევენ. კონფერენციის ადგილი ჯერ დანიშნული არ არის; გერმანია ტანჟერს ასახელებს. შეიძლება საფრანგეთმა გერმანიას სურვილი შეუსრულოს.

ფლორენცია, 11 ივლისი. ობსერვატორიის დირექტორმა გამოაცხადა, რომ აპარატმა აჩვენა დიდს მიწის-მძვრაზე, რომელიც აღმოსავლეთით უნდა მომხდარიყო.

ბათომი, 11 ივლისი. სამმა ტუსაღმა, რომლებსაც ამ დღეებში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ფოთის ციხის კედელი გაანგრია და გაიქცა.

ვერხნედნეპროვსკი, 11 ივლისი. „ვესტნიკ იუგას“ სიტყვით „კრასნაია ბალკა“-ს მაღნში აფეთქება მოხდა, რომელმაც რამოდენიმე კაცი იმსხვერპლა.

ოდესა, 10 ივლისი. კომისიამ გემების პატრონებისა და მეზღვაურების შეთანხმება მოახერხა: რვა საათის სამუშაო დღე დააწესეს, მეზღვაურებს ჯამაგირზე 40% მოუმატეს და ზედ-მეტ სამუშაოზე ცალკე ხელფასიც დაუნიშნეს.

სოფია, 11 ივლისი. ილდიზში მომხდარმა ამბავმა აქ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პოლიტიკურ წრეებში შიშობენ, თუ ვინიცობაა ოსმალეთის მთავრობა დამნაშავეთ ვერ აღმოაჩენს, დიდი დევნულობა დაიწყება, რაც უფრო დიდს მღელვარებასა და არეულობას გამოიწვევსო. ძალიან ბევრი დაატუსაღეს, მაგრამ დამნაშავე მაინც ვერ აღმოაჩინეს.

მოსკოვი, 11 ივლისი. ამ დღეებში რუზის მაზრის გლეხებმა ზოგიერთ საერობო ადგილებში ბალახი გათიბეს და მიწები თავის საკუთრებად გამოაცხადეს.

ვარშავა, 11 ივლისი. სტეფანე ოკრეია, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი, დღეს ჩამოახრჩვეს.

თავრიზი, 9 ივლისი. ცნობა მოვიდა, რომ მეშხედში აქა-იქ ხოლერა აღმოჩნდაო.

პეტერბურგი, 11 ივლისი. ოფიციალური. საიმპერატორო სახლის მინისტრის დეპეშა ბიერკედან: 10 ივლისს, საღამოს 10 საათზე, გერმანიის იმპერატორის გემი „ჰოგენცოლერნი“ საიმპერატორო გემის „პოლიარნაია ზვეზდა“-ს მახლობლად დადგა.

იმპერატორი ვილჰელმი პრინც ადალბერტ შლეზვიგ-გოლშტეინისა და თავის ამალის თანხლებით „პოლიარნაია ზვეზდა“-ზე ავიდა. მას დაუხვდნენ ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე. საღამოს 11 საათზე ხელმწიფე-იმპერატორი, ვილჰელმი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ამალის თანხლებით ავიდნენ „ჰოგენცოლერნ“-ზე, საიდანაც ღამის 1 საათზე და 30 წუთზე ისევ „პოლიარნაია ზვეზდა“-ზე დაბრუნდნენ.

რიგა, 11 ივლისი. ლანდტაგმა საერობო თვითმართველობის რეორგანიზაციის პროექტი მიიღო.

ლონდონი, 11 ივლისი. საზოგადოებათა პალატა სავსე იყო, როდესაც ბალფურმა განაცხადა, რომ მთავრობას გადადგომა არ განუზრახავსო. ბალფურმა ჩამოთვალა ბევრი ისეთი შემთხვევა, როდესაც სამინისტრო დამარცხებულა, მაგრამ კი არ გადამდგარა. ბალფურის სიტყვით, კაბინეტს პალატის უმრავლესობა ნდობით უცქერის. ამჟამად მიზეზი არა მაქვს პალატის დათხოვნისა და არც ჩემის გადადგომისთვისაო. „დიდი სავალალო იქნებოდაო,—წამოიძახა ბალფურმა,—რომ მთავრობის მოქმედება ისეთ შედეგზე იყოს დამოკიდებული, როგორიც პალატის 7 ივლისის სხდომას მოჰყვაო“. ამ განცხადებამ მთავრობის მომხრე პარტიაში ტაში ცემა გამოიწვია.

კიახტა, 11 ივლისი. გუშინ, დილის 10 საათზე, აქ და ახლომახლო მიდამოებში ძლიერი მიწისძვრა იყო, რომელიც სამ წუთს გაგრძელდა. ძლიერი გუგუნი ისმოდა. უბედურება არა მომხდარა.

პეტერბურგი, 11 ივლისი. ოფიციალური. უმაღლესად დამტკიცებული დებულება მინისტრთა კომიტეტისა და სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტის შეერთებული კრებისა რუსეთის რკინის გზების სააშენებლო საქმეში კერძო პირთა თანხების მონაწილეობის შესახებ: ფინანსთა მინისტრმა შეერთებულ კრებას მოხსენება წარუდგინა ამ საკითხის გამო. შეერთებულმა კრებამ, მოხსენების განხილვის შემდეგ, შესაძლებლად სცნო, რომ მომავალში შემდეგი დახმარება და შეღავათები მიენიჭოს კერძო რკინის გზებს, რომელთაც სახელმწიფო და ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ:

1) ობლიგაციების განაღდების საქმეში მთავრობის გარანტია და სხვა ფინანსიური დახმარება, 2) ახალ გზების გაყვანისას სააშენებლო თანხას მიემატოს ხოლმე ხარჯი, არა უმეტეს სამის, პროცენტი, 3) ახალ გზების გახსნისა და გაწესრიგებულ მოძრაობის დღიდან, ხარჯების დაფარვის შემდეგ შემოსავლის დანარჩენი თანხა აქციონერთა და გარანტიით უზრუნველყოფილ ობლიგაციების შორის განაწილდეს, 4) კერძო რკინის გზათა შემოსავლის ნაწილით მთავრობის სარგებლობა განისაზღვროს და შემცირდეს, უფრო კერძო შემთხვევაში დებულების მიხედვით, როდესაც საქციონერო თანხის სარგებელი 8%-ს აღემატება, 5) მთავრობის მიერ კერძო რკინის გზების გამოსყიდვის ვადა გაგრძელდეს გზის გაწესრიგებულ მოძრაობის დღიდან 25 წლამდე, 6) ახალ კერძო გზების სააშენებლო ამხანაგობას პირველის ხუთის წლის განმავლობაში უფლება აქვს, რომ, თუ მთავრობამ შეღავათიანი ტარიფი შემოიღო, რომელიც ამ გზის ტარიფს არ ეთანხმება, ის ზარალი, რაც ამ ტარიფის შემოღებით კერძო გზას მოუვა, მთავრობამ აუნაზღაუროს, 7) კერძო გზებს უფლება აქვთ, თუ რომელისამე დაწესებულების მოთხოვნილებით შენობას აგებს, რომელიც მისთვის კომერციულად არ არის საჭირო, ან თუ სხვა რაიმე მოთხოვნილებას ასრულებს, ამ საქმეზე დახარჯული თანხა მთავრობას გადაახდევინოს, 8) ახალ გზების გამგეებს უფლება აქვს, რომ მთავრობის დავალებით ფოსტისა, ტელეგრაფის საქმის მოწყობილებათა თუ სხვათა გადასაზიდი ფასი, საფოსტო შენობისა თუ ჟანდარმთა სადგომების ქირად დაწესებული ფასი მოითხოვოს, უფრო კერძო შემთხვევაში წესდებით განსაზღვრულ ვადამდე, 9) ახალ გზების გამგეებს არ დაეკისრება ინსპექციისა, კონტროლისა, ჟანდარმთა პოლიციისა თუ სხ. შენახვა, 10) იმ გზებს, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, ან, აქციებისა და ობლიგაციების გამოუცემლად, კერძო პირის თანხით შენდება, უფლება აქვს მთავრობისაგან შეღავათიან სესხით ისარგებლონ განსაზღვრულ დრომდე.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

11 ივლისი

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 1905 წლის 9 ივლისის თარიღით: ხაილუნჩენის რაიონში 7 ივლისს, დილის ათს საათზე, ჩვენი ჯარი მიუახლოვდა მტრის მოწინავე პოზიციებს, რომლებიც იულიანძის ჩრდილოეთით ოთხის ვერსის მანძილზე არიან. მარჯვენა რაზმი საბრძოლველად მოემზადა და მტრისაკენ გაემართა, მარცხენა რაზმმა მტერს მარჯვენა ფრთიდან მოუარა. ჩვენმა მოულოდნელმა მისვლამ აიძულა მტერი პოზიციები თითქმის უბრძოლველად დაეთმო. ჩვენ იაპონელების თხრილები დავიჭირეთ, ისინი კი იულიანძის დასავლეთით მდებარე პოზიციაზე გამაგრდნენ. რადგანაც ჩვენსა და იაპონელებს შორის ჭაობიანი ადგილი იყო და ჯარის კაცებიც დაღლილები იყვნენ, იაპონიის ახალ პოზიციებზე იერიში ვეღარ მივიტანეთ.“—სახალინის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-ლეიტენანტის ლიაპუნოვის დეპეშა 1905 წლის 10 ივლისის თარიღით: 1) „დღეს, დილის 8 ნახევარ საათზე, თათრის სრუტეს სამხრეთ ნაპირზე რამდენიმე გემი შეამჩნიეს. 10 საათზე გამოირკვა, რომ ეს იაპონიის ნაღმიანი გემები იყო. ორმა გემმა ჩრდილოეთით გაიარა, დანარჩენები კი დუესთან მოგროვდნენ და ოთხჯერ გაისროლეს. 11 საათზე სამხრეთით რამდენიმე გემი გამოჩნდა“.—2) 12 საათზე იაპონელების ორი ნაღმიანი გემი დადგა მდინარე არკოვის შესართავთან, რომელიც ალექსანდროვსკის ჩრდილოეთით 12 ვერსის მანძილზე არის, ნაპირს სროლა აუტეხეს და მერე სამხრეთ-დასავლეთით გაემართნენ; მალე ამავე მხარეს ერთი კრეისერი და ოთხი ნაღმიანი გემი წავიდა“.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ცუსიმის გამარჯვების დღესასწაული იაპონიაში. „ფრანკ. გაზ.“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: „ტოგოს გამარჯვებას ამბავი მოვიდა. მთელი იაპონია გამარჯვების დღესასწაულობს. ეს სიხარული წინანდებურ სიხარულს არა ჰგავს. წინად იაპონელებს თავი ისე ეჭირათ, ვითომ ტოგოსი და ოიამას გამარჯვება არაფრად მიაჩნდათ და ამაყად, ყოჩაღად იყვნენ. ეხლა კი სურათი გამოიცვალა. პორტ-არტურისა, ლიაოიანისა და მუკდენის შემდეგ პრესსა დღესასწაულობდა, ხალხი კი ნაკლებ მონაწილეობას იღებდა. ეხლა ხარობს მთელი იაპონია. ხარობენ ქალაქები, სოფლები, მდიდრები, ღარიბები და გეიშები. ყველგან სიხარული, სიცილი, ღიმილი და ამაყი გამომეტყველება. ტოკიოში 4 დღე და ღამე ქეიფობდნენ. გარეშე მაყურებელს ეგონებოდა, ევროპის კარნავალების სული და გული გასჩენიათ იაპონელებსაო. დილიდანვე ქუჩები სავსე იყო ნიღაბ-აფარებულ ხალხით. მემუსიკენი, კლოუნები და ჯამბაზები საუცხოვო, ათასფეროვნად და ათასნაირად იყვნენ გამოწყობილნი. ყველა ქუჩებში წარმოდგენები იმართებოდა, სცენას იქვე, საჩქაროდ აკეთებდნენ. აქაიქ ორატორები დადიოდნენ და განუწყვეტლივ ყოველ ქუჩაზე სიტყვებს ამბობდნენ. ისინი აუწყებდნენ ამომავალ მზის ქვეყნის გამარჯვებულ შვილებს, რომ ბარბაროსი რუსები საბოლოოდ განადგურდნენ, მოისპნენ და დღეის იქით თავს მაღლა ვეღარ აიღებენ, რომ მათი განათლება და ეთიკა ევროპისა და საზოგადოდ მთელი ქვეყნის განათლებას სჯობია. საკვირველია იაპონელთა ხასიათი. იაპონელებს სჯერათ თავისი უპირატესობა ევროპიელებთან, მაგრამ იმდენად ამაყნი, თავდაჭერილნი და ზრდილობიანი არიან, რომ უცხოელს არ შეურაცხჰყოფენ, არ დასცინიან, არაფერს აკადრებენ. იმ დროს, როცა რუსეთში ყოველი ჭროლა თვალებიანი და ელამი იაპონელად მიაჩნიათ და სდევნიან, აქ, ტოკიოში იაპონელები ხელს არ ახლებენ რუსეთის უშველებელ სობოროს, რომელშიაც რუსეთის ეპისკოპოსი ყოველ დღე სწირავს. უნდა გამოვტყდე და ავღიარო, რომ იაპონელები ჩვენ, ევროპიელებს, ბევრ კარგ რასმე გვასწავლიან. ამისთანა შემთხვევაში ჩვენ სულ სხვანაირად მოვიქცეოდით. აქ მცხოვრებ ევროპიელებს ბალტიის ესკადრის ბედის გამო სცხვენიათ. ვისაც კი ჰკითხავ—რას იტყვით ცუსიმის ბრძოლის შესახებაო, გიპასუხებენ—მრცხვენიაო“ (რ.).

მანჯურიაში. თუმცა რუსებმა მუკდენის ზარალი შეივსეს და მაშველი ჯარიც მიიღეს, მაგრამ იაპონელებს მაინც ვერ გაუმაგრდებიან. სწორედ ეს არის მისი მიზეზი, რომ ლინევიჩი ადგილიდან არ იძვრის და ოიამას შესცქერის, აბა, რას იზამს ჩემი მოწინააღმდეგეო, თუმცა კი თვითონაც და ბატიანოვ-კუროპატკინსაც რამდენჯერმე გამოუცხადებიათ საქვეყნოდ, დღეს თუ ხვალ იაპონელებზე იერიშს მივიტანთ და უეჭველად დავამარცხებთო. ამჟამად იაპონიას ჰყავს ერთი მილიონი გაწვრთნილი სალდათი. როცა ბალტიის ესკადრა იაპონიას უახლოვდებოდა, მანჯურიაში ოიამას იმდენი სურსათი და იარაღი ჰქონდა შეგროვილი, რომ იმის ჯარს 6 თვეს ეყოფოდა. ამჟამად მარშალ ოიამას შტაბსა და იაპონიის სამხედრო სამინისტროს განუწყვეტლივ რაღაც მიწერ-მოწერა აქვთ და რუსეთის ჯარს რაღაც ხრიკს უმზადებენ. იაპონელები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ახლო ხანს ოიამა ისეთ ფანდს უგდებს ლინევიჩს, რომ მთელ ქვეყანას და სამხედრო ისტორიას სედანიც დაავიწყდეს, ვატერლოოც და აუსტერლიციც (ს. ო.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 12 ივლისი. **წუხელის, საღამოს 8 საათზე, ქალაქის ბულვარში რევოლვერით დასჭრეს ჩხარის ბოქაული ესაიაშვილი. ლეჩხუმიდან ამბავი მოვიდა, რომ თავადი გარდაფხაძეები და ლეჩხუმის თავად-აზნაურთა ერთი ნაწილი დრუჟინას ადგენენ საკუთარ ინტერესების დასაცველად ახალ მოძრაობისაგან. დრუჟინას იარაღი აქვს. გლეხობა უმწეოდ არის დარჩენილი, სოფლად შიშიანობა ჩამოვარდა.**

ახალი ამბავი

✦ ქალაქის იმ კომისიას, რომელიც ადგილ „ვაკეს“ ქალაქს უერთებს, **უკვე შეუდგენია პლანი** ამ ნაწილისა. ამ პლანს ეს კომისია განიხილავს ქალაქის გამგეობაში დღევანდელ კრებაზე, რომელზედაც ამ „ვაკის“ მამულების პატრონთაც შეუძლიანთ დასწრება.

✦ კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, გუბერნიის საბეითალო გამგეობასთან **საბეითალო-სამკურნალო განყოფილების კრება შესდგა** საქონლის ჭირთან საბრძოლველად ზომების გამოსარკვევად. კრებამ სამგვარი საშუალება დაასახელა: ამბულატორიული (სამკურნალო), ადგილობრივი და კლინიკური. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ადგილობრივი (выѣздное) წამლობა თუმცა იაფი ჯდება, მაგრამ სასურველი ნაყოფი არ მოაქვს. კლინიკური წამლობა მეტად ძვირია, ამის გამო კრებამ ისევ ამბულატორიული საშუალება ამჯობინა. კრების დადგენილება საგანგებო საბჭოს მოხსენდება.

✦ როგორც ჯავახეთიდან გვატყობინებენ, სოფლებ ურაველსა, აგარასა, მუსხსა, ექტასა, გრილსა, ვარნათსა და ზანზობოში **საქონლის ჭირი გაჩენილა**.

✦ თიანეთის ორ-კლასიან სკოლასთან ენკენისთვიდან **სამეურნეო განყოფილებას აარსებენ**. განყოფილებას სკოლის გამგეობა შეინახავს იმ ფულით, რომელიც იხარჯებოდა აწ დაკეტილ სახელოსნო განყოფილებაზე.

✦ სოფ. დიღმის (ტფილისის მაზრა) მემამულენი და გლეხები **მიწების ლალის შესახებ უკვე შეთანხმებულან**. მემამულეთ გლეხებისთვის დღიური მიწა დაუთმიათ 2 მანათად.

✦ ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის **ახალ წესების ძალით**, გამგეობისა და დამფასებელ კომისიის წევრებად შეუძლიანთ იყვნენ მხოლოდ ბანკის წევრნი დამაარსებელნი.

✦ ქართლ-კახეთის სამრევლო სკოლების **საეპარქიო საბჭომ შემდეგი მოწერილობანი დაუგზავნა სამაზრო განყოფილებებს** და სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების გამგეებს: „თანახმად

ფელეტონი

—

...„მაგრამ გულზე დაიჯდიე“...

(ნაწყვეტი მოთხრობისა ბატონყმობის ცხოვრებიდან)

I

სოფელ წყაროსთავში ნიშანწყალი მარტო თავად ბარძიმის სახლის ეტყობოდა. ის ამაყად ამართულიყო პატარა ბექობზე და არწივივით გადმოჰყურებდა არა მარტო ბარძიმის საყმო სოფელსა, არამედ მთელს შიდა-ქართლსაც.

ამბობენ, თავად ბარძიმს ისეთი მაღალი, რიხიანი და მჭექარი ხმა ჰქონდა, რომ თავის სასახლიდან ორ-სამ ვერსზე აწვდენდა და იმის გაგონებაზე ყმებს შიშის ჟრუანტელი უვლიდათო.

თავადი ბარძიმი ერთობ ბრგე და შედგმული ტანის ვაჟკაცი იყო. ეს დევერხანა კაცი, როცა შუბლსა და წარბს შეიჭმუხნიდა, საზარელი სანახავი იყო. ვაი იმ ყმის ბრალი, რომელიც შეხვდებოდა იმის ბრწყინვალებას იმ დროს, როცა ავ გუნებაზე ბძანდებოდა. თუ რომელსამე ყმას ბარძიმთან საქმე გაუჩნდებოდა, ჯერ მოურავისაგან უნდა შეეტყო, ღრუბელი ხომ არ დაუსხავს ბატონის შუბლსაო. და თუ ოდნავადაც იყო მოღრუბლული ბარძიმის შუბლი, ისე გაურბოდნენ, როგორც ჭირსა. ან კი ამ დროს როგორ დაენახვებოდა ყმა ბარძიმსა! ის მაშინვე იმაზე გასტეხდა ბრაზსა: ან ჩიბუხის ტარს გადაამტვრევდა თავზე, ან მოჰკიდებდა თმაში ხელს და აივნიდან ძირს გადისროდა. თუ ბარძიმის მსხვერპლი იმის წინ ლაზათიანად გაიშხლართებოდა მიწაზე და ტკივილებისაგან საზარლად დაიგმინებდა, მაშინ ბარძიმს შუბლიდან ღრუბელი გადაეყრებოდა, გამოიდარებდა და ერთს გულიანად, ტაშის გამოკვრით, გადაიხარხარებდა ხოლმე.

იმას კი ნუ იფიქრებთ, რომ მათი ბრწყინვალება გულკეთილი არ ყოფილიყოს; ბარძიმს თავისებური გულკეთილობა ახლდა: როცა ცემით გულს მოიჯერებდა, ბიჭს გასძახებდა:

— ბიჭო, კოჭობა!—არც ერთს ბიჭს ნათლობის სახელს არ ეძახდა,—აიყვანე ეგ ძაღლი, ერთი ჯამი ღვინო გადააცხლე და უთხარი: როცა ბატონი ავ გუნებაზე იყოს, თვალით ნუ დაენახვები-თქო.

ბარძიმის კარ-მიდამოს უშველებელი ადგილი ეჭირა; აღმოსავლეთით კალო-საბძელი ჰქონდა მოდგმული, კალოს პირას რამდენიმე ძირი ძნა ედგა, ჯერ კიდევ წინა წლის დარჩენილი, გაულეწველი. სახლკარი მიდამოზე ბარძიმის ორფეხი თუ ოთხფეხი პირუტყვი თავისუფლად იყო გაშვებული და აოხრებდა მთელს სოფელსა. თვით სოფელი იმ ბექობის გარშემო იყო გაშენებული, რომელზედაც ბარძიმის სასახლე იდგა. სოფელი წყაროსთავი ნაგვისა და საქონლის პატივის გროვას უფრო ჰგავდა, ვინემ ადამიანთა საცხოვრებელსა. ამ სოფელში მოსახლეობდნენ ბარძიმის გლეხები; იმათი სახლები ისე დაძველებული, მინგრეულ-მონგრეულ იყო, თითქო ეს-ეს არის მტერს დაურბევიაო, იქაურობა მიუნგრ-მოუნგრევია და ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ შეკეთება და შესწორებაო.

სოფლის ნაოხრებს შორის ერთი ქოხი იპყრობდა ადამიანის ყურადღებას თავის უბადრუკი ყოფა-მდგომარეობით. ეს იყო ქოხი ნინია ციცაგისა. ამ ქოხს, პაწია დარბაზს, ბანი ჩაქცეული ჰქონდა, ჩატეხილი ჭერები და კოჭები თავდაყირა იყო ჩაკიდებული. შიგ წვიმის გუბე აშმორებულიყო და მოშხამულს სუნს ჰფენდა მიდამოს. რაკი დარბაზში არ იდგმინებოდა, ამიტომ ნინიამ დარბაზის ერთს მთელს გვერდს წკნელის ოთახი მიახლართა და გარედამ საქონლის პატივით შელესა. აი, ამ ჩახლართულს ფაცხაში ცხოვრობდა ნინია თავის ჯალაბითა და ორის ქალიშვილითა. ჟამთა ვითარების გამო ქოხს პატივი ჩამოსცვივნდა; ხანდისხან ნენე აქაიქ ფაცხას გამხმარ წკნელს გამოამტვრევდა ხოლმე ცეცხლის ასაფუებლად, ამიტომ წკნელის ფაცხა სულ ჯუჯრუტანებად გადაიქცა. ზამთრობით ნინია ციცაგის სახლობა მოიკუნტებოდა ერთს კუთხეში, ღორებივით მიეკვროდნენ ერთმანეთს და ასე პირუტყვულად ატარებდნენ დღეღამესა.

— უღვთოდ სული არ ამოვა,—ხშირად იტყოდა ხოლმე ცხოვრებისაგან გამწარებული ნენე;—რა სასიცოცხლოები ვართ; მოდი, შე, დალოცვილო ღმერთო, მოდი და ამოგვხადე შენგან ბოძებული სული!—წამდაუწუმ ხელებ-გაპყრობილი შესთხოვდა ხოლმე ნენე ღმერთსა.

ნინია ციცაგს ორი ქალიშვილი მთელი დღე უბან-უბან დაძრწოდა, ქვეყანას პირზე ტყავს აძრობდა მათხოვრობით; ავხელობასაც შეაჩვია ოხერმა წუთი-სოფელმა: აქ ძარიდან სიმინდის ტაროებს ჩამოჰყრიდნენ, იქ სადმე ქათმის საბუდრიდან კვერცხს ამოაცოცებდნენ. უფრო კი მიდარაჯებულნი იყვნენ ბარძიმის აივანთან: სადილისა და ვახშმის შემდეგ გადმობღერტავდნენ თუ არა აივნიდან სუფრასა, ძაღლებივით ეცემოდნენ ნასუფრალსა და უბეში იტენდნენ ძვლებს, პურის ნახორხლებს და სიხარულით მიარბენინებდნენ შინა.

ბევრჯელ დაგლიჯეს, დაღრღნეს ბავშვები ბარძიმის ქოფაკებმა, მაგრამ—საშინელ გრძნობას სიმშილისას მორიდება არაფრისა ჰქონია,—ლუკმაპურის საშოვნელად ნინიას ბავშვები თავს არ იზოგავდნენ.

ზაფხულობით უფრო იოლად მიდიოდა ციცაგის ოჯახი: ნინიას ერთად-ერთი კვალი სიმინდი ეთესა ხილით; ჰქონდა ერთი ბოხჩა ვენახიც, რომელშიაც ორი ნიგვზის ხე იდგა და ერთი ბორბალა-მსხალი. შეუვიდოდა თუ არა ბორბალას თვალი, ბავშვები მიჰყოფდნენ იმას ჭამას ხელსა. სხვების ხილებსაც ჩამოუვლიდნენ, აგროვებდნენ ნაქარს ხილსა, მიჰქონდათ შინ, ხარშავდნენ და თითქმის მთელს ზაფხულს მოხარშულის ხილითა და ნედლის სიმინდით გამოდიოდნენ.

II.

ერთ დილას თავადმა ბარძიმმა ჩვეულებრივზე უფრო მხიარულად გამოიღვიძა. იმის თანამეცხედრეს, კნეინა ქეთევანს, ბარძიმის წარბის უბრალო შეხრაც არ გამოეპარებოდა ხოლმე და, აბა, ამისთანა დიდს მოვლენას ბარძიმის ცხოვრებაში როგორ არ შეამჩნევდა.

— დღეს მარჯვენა ფეხზე ამდგარხარ, სიცოცხლევ ჩემო,—უთხრა ქმარს ქეთევანმა, რომელიც თან კავებს იკულულებდა და თან ქმარს ეალერსებოდა.

ბარძიმს ქეთევანის დანახვაზე პირს ნერწყვი მოადგა, პირი აწკლაპუნა, ხელები მოჰხვია და ალერსით უთხრა:

— აბა, ქეთევან ჩემო, თუ ჭკვიანი ადამიანი ხარ, ჩემი სიზმარი ამიხსენ.

— თუმცა იოსები არა ვარ, მაგრამ სიზმარს კი ავხსნი, იმის ახსნას დიდი არა უნდა-რა: უკუღმა ასახსნელი უნდა წაღმა ახსნა, წაღმა ასახსნელი კიდევ—უკუღმა. მორჩა და გათავდა!.. აბა, ბძანე!

— ერთმა კოხტად ჩაცმულმა ბიჭმა ორი მტრედი მომიყვანა, ისეთი ლამაზები, ისეთი ლამაზები, რომ კინაღამ სულში ჩავიძვრინე. ერთი ერთ ხელში დავიკავე, მეორე—მეორეში. ისე მალე შემეჩვივნენ, რომ პირში ნისკარტების ყოფა და კრუტუნი დამიწყეს. ქეთევან, შენ მეხვეწებოდი, ერთი მე დამითმეო, მაგრამ ვერ შეველიე.. მე უშენოდაც ავხსნი ამ სიზმარსა: რაღაც შემემატება, ან გაცრუვდება ის ხმა, ვითომ მერმისს უსათუოდ ბატონ-ყმობა გადავარდებაო.

— ბატონ-ყმობისა რა მოგახსენო, ის არც გადავარდება, არც ერთი და არც მეორე... მამა უცხონდეთ მამგონებლებს!.. მერე მამა-მზეს არა ჰკითხამენ *), უიმისოდ როგორ გადავარდება... ჰო, სიზმართან ვარ... მტრედების ნახვა კარგია; შეგემატება რამე, შეგემატება ის, რაც უფრო გულით გიყვარს: ძაღლებს მოგგვრის ვინმე. იქნება ჩემმა ძმა ზურაბმა გამოგიგზავნოს, წაბლა მწევარი დასაყრელი ჰყავდა.

— უჰ, უჰ!.. შენს პირს შაქარი, შენს პირს შაქარი!.. ოღონდ ზურაბმა თავის წევრის ლეკვები გამომიგზავნოს და, ვინ შერცხვენილი... აბა, რა ვთქვა... ვინ შეჩვენებული და თავლაფდასხმული, ორ-სამ კომლ გლეხს არ აჩუქებს მომტანსა...

— დღეს რა დღეა?.. ჰო, ხუთშაბათი. დაიხსომე: აბა, ეს დღე ნიშანი იყოს, თუ არ აგიხდეს.

— ვინ შერცხვენილი, ძვირფას მარგალიტის თავსაკრავს არ გიყიდის თამაზა ოქრომჭედელთან, ჩემო მარგალიტო, გენაცვალე მაგ მარჯან ტუჩებში,—ამოუსვა ბარძიმმა კნეინას ფაფუკს ღაბაბში ხელი და მარჯანი ტუჩები ჩაუკოცნა.

III

სწორედ იმ ღამესვე ნინია ციცაგმაც ნახა სიზმარი. როგორც ბარძიმსა და ნინიას შუა იდო დიდი ზღვარი—ერთი თავის კანში ვეღარ ეტეოდა და არ იცოდა, რითი და როგორ მოეკლა დროჟამი, ხოლო მეორე ძვალტყავად იყო ქცეული, გაპირუტყვებული და იმის ფიქრსა და ზრუნვაში იყო, რომ შიმშილით არ ამოსძრომოდა სული,—ისე იმათ სიზმრებს შუა იდო იგივე ზღვარი.

ნინია ერთს დილას რეტიანივით წამოვარდა, ენა ჩავარდნოდა, ოდნავ-ღა ლუღლუღებდა. საწყალმა ნენემ კუტლით ცივი წყალი გადააყლაპა და ცოტად მოაცნობილა.

— ჩემი ორი ნიგვზის ხე და ბორბალა-მსხალი ქარიშხალმა დაგლიჯა, მერე მოედო ცეცხლი ამ ჩემს საცოდავ წნულსა და შიგ გამოიწვენით შენ და ეგ ორი ცოდვის შვილები; მე უბედური კი გადავრჩი... მოვიდა ერთი ტარტაროზივით შავი კაცი, სახეზე სულ ალმური ასდიოდა, სახე შავად ჰქონდა გაფისული, პირიდან ცეცხლის ნაპერკლებს ისროდა; იმ წყეულმა ცხვირში რგოლი გამიყარა, გაქექა ნალვერდალი, თქვენი ნახევრად დაფერფლილი ძვლები გუდაში ჩაყარა, ზურგზე ამკიდა და ბატონიანთ აივნამდე თრევით მიმიტანა.

ნინიამ გაათავა სიზმარი; მხეცივით მიავლ-მოავლო თავის წნულს თვალი, კბილები დააკრაჭუნა და ფრჩხილებით დედამიწას დააფრინდა.

— არც ცხადლივ, არც სიზმრად მოსვენება არ არის,—გაიფიქრა მწარედ ნინიამ და თავი ჩაჰკიდა.

— რა ექნათ, ჩემო სიცოცხლე! იტყვიან—უღვთოდ სული არ ამოვაო,—ანუგეშა ჩვეულებრივად ნენემ. იქნება სასიკეთოდ აგვიხდეს... მაგრამ რას ვროტავ,—სთქვა თავისთვის ნენემ,—სიკეთე ხომ ჩვენთვის არ გაუჩენია ღმერთსა.

IV

— ბატონო, ბატონო! ზურაბის კაცი გახლავთ და...

— და ძაღლები მოიყვანა, არა!—გააწყვეტინა ბარძიმმა ლაპარაკი ქაქანით შემოვარდნილს ბიჭსა.

— დიაღ, ბატონო, მოიყვანა ძაღლები, მაგრამ რა ძაღლები, შენ ნუ მომიკვდები და მამათქვენს დაადგა ნათელი, რომ ერთ სოფლად ღირს.

ბარძიმი სწრაფად ადგა, სიჩქარით ცალი ფეხი ფლოსტში გაჰყო, ცალზე წაღა წამოიცვა და ახალუხის სწორებით აივანზე გავარდა; თან ქეთევანიც დაედევნა კავების სწორებითა.

— ამიხდა სიზმარი, ამიხდა, ქეთევან!—ყვიროდა სიხარულისაგან ბარძიმი...—ამოიყვანე ძმობილო, აივანზე ძაღლები.

კოხტად ჩაცმულმა იმერელმა სწრაფად აიყვანა აივანზე ორი მწევარი.

— ძმობილო, რა ჰქვიან აი ამასა?

— მაგას, ბატონო ჩემო, ჰქვიან **მშველა**, რაკი მშველის ფერია, მასავით მარდი და დაბზენილი; მეორეს კი **წარბა**, რაკი წარბი შავი აქვს.

— უი, გენაცვა, ეს წარბა რა რიგ ჰგავს დედასა!—სთქვა ქეთევანმა.

— კი ბატონო, პირწავარდნილი დედა გახლავთ!—მკვირცხლად უპასუხა კნეინას იმერელმა.

— ამათი მამა როგორი-ღაა, ძმობილო?—ჰკითხა ბარძიმმა.

— სწორედ ღირსეული, თქვენ ნუ მოუკვდეთ ჩემს თავსა: დიდის ზურაბ მარუშიძის ძაღლის ჯიშისა, თურმე, გახლავთ. ასე მოგახსენებს ხოლმე ზურაბი.

— ვაჰ, ვაჰ! დიდებულის სისხლისა ყოფილა, შენმა მზემ!—ტუჩების წკლატუნით წარმოსთქვა ბარძიმმა.

ხან მშველას დაუწრუწუნა ბარძიმმა, ხან წარბას; საჭმელი გამოუტანა, თავის ხელით თავის კალთაშივე აჭამა, შვილებსავით დაუწყო ალერსი: უსვამდა თავებზე ხელსა, სწმენდდა და ყელში იხუტებდა. იმ დროს ბარძიმი დიდზე დიდი კაცი იყო. ყეინსა და ხონთქარს ერთად თავსაც არ დაუკრავდა.

— უკაცრავად, სულ არ დამავიწყდა: ვინ ხარ შენ, ძმობილო!—ჰკითხა ლმობიერად ბარძიმმა.

— რას მიბრძანებ, შენი ჭირიმე! რავა გეკადრებათ უკაცრაობა: მე გახლავართ, შენი ჭირიმე, ზურაბის აზნაური, ჭიჭიკო ქინქლაძე... აპა, ჭიჭიკოვო,—მიბრძანა ბატონმა,—მიართვი ჩემს სიძეს ეს ერთი უღელი მწევარიო... ბევრს ეჭირა თვალი ამ მწევრებზე, თქვენ ნუ მომიკვდეთ, მარა ვერავინ ვერ დასძლია...

— ვაი შენ, ჩემო თავო!.. ბიჭო კოჭობა!

---

*) მამა-მზე მეტი სახელია ერთის ქართველ თავადისა. ავტ.

საოლქო საბჭოს მოწერილობისა, დღეიდან ახლად დანიშნული მღვდელი იმ წამს უნდა შეუდგეს სამრევლო სკოლის გამგის თანამდებობის შესრულებას და არ ელოდოს, ვიდრე სამაზრო და საეპარქიო საბჭო დაამტკიცებდეს. გარდა ამისა ყოველ წელს სამრევლო სკოლების მაზრის მეთვალყურეებმა უნდა გამართონ საპედაგოგიო კურსები ამ სკოლის მასწავლებლებისთვის. კურსებში 5—5 მახლობელ სკოლამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. კურსებზე სწავლის დროს შესაფერ სწავლების სისტემა უნდა იქმნას შემოღებული. საბჭოვე აცნობებს, რომ დაარსდეს სამაზრო განყოფილებებთან საკონტროლო კომისიები, რომელთაც უნდა განიხილონ ფულის ყოველივე დავთრები და ანგარიშები“.

✦ როგორც გავიგეთ, გურია-სამეგრელოს ეპარქიას იმერეთის ეპარქიას უმორჩილებენ. გურია-სამეგრელოში დაინიშნება **ვიკარი**, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსს დაემორჩილება.

✦ გენერალ ზ. გ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამგზავრებულ კომისიას, 10 ივლისს, **ყრილობა მოუხდენია სართიჭალაში.** ყრილობას დასწრებიან ხაშმისა და სართიჭალის სოფლის საზოგადოების გლეხები; 11 ივლისს ესეთივე ყრილობა თავ. ჭავჭავაძეს მოუხდენია იერის ხიდზე, სადაც დასწრებიან საგარეჯოსა, ნინოწმინდისა, გიორგიწმინდის, თოხლიაურისა და მანავის სოფლის საზოგადოებანი.

✦ სოფელ მაღაროს-კარში (ფშავეთი) რამდენსამე ინტელიგენტს, ნ. რაზიკაშვილის მეთაურობით, განუზრახავთ **სავაჭრო დეპოს დაარსება.** დეპო შეისყიდის ფშაველთა და ხევსურთა ნაწარმოებს: ყველ-ერბოსა და მატყლს და პირდაპირ საქმეს მსხვილ ფირმებთან დაიჭერს.

✦ ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: „Государственный строй древней Грузіи и древней Арменіи“, ტომი პირველი, ივ. ჯავახიშვილისა. წიგნი პეტერბურგშია გამოცემული, და „Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи“-ს მე-VIII წიგნი.

✦ როგორც სადგურ ვარვარინოდან გვატყობინებენ, 10 ივლისს, როდესაც მატარებელი № 21 სადგურში შემოდიოდა, ვიღაც უცნობმა რევოლვერი დაახალა მემანქანე მანუკოვს. ტყვია ასცდა.

✦ გუშინ, 12 ივლისს, სადგურ ნავთლუღსა და ტფილისს შუა მატარებლის № 18 ქვეშ ჩავარდა ვიღაც უცნობი კაცი და გაისრისა.

✦ როგორც სადგურ კარაკლისიდან გვატყობინებენ: 2 შეიარაღებული კაცი თავს დასხმია გზის ოსტატის ჩერნენკოს სახლს და სროლა აუტეხიათ. ერთ ტყვიას ჩერნენკო დაუჭრია.

✦ ტფილისის მეათე საპოლიციო უბანში საქონლის ჭირი გაჩენილა. ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ნაწილმა უკვე მიიღო შესაფერისი ზომები ჭირის მოსასპობად.

* * *

ქუთაისის ცხოვრება

მოისვენეს ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა, რომელნიც მეტად დაიღალნენ საზოგადო საქმეებზე ზრუნვით! სექტემბრამდის აღარ მოხდება საბჭოს სხდომა, რომლის მარტო გახსენებაც კი წელსა სწყვეტდა ჩვენს ქალაქის მამებს—უკეთ რომ ვსთქვათ, მამინაცვლებს—და რომელსაც ისე გაურბოდნენ, როგორც ყამსა და ხოლერას. მათმა დაუდევრობამ და საზოგადო საქმეებისადმი გულგრილობამ, რომელსაც მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს, ამ ბოლო დროს მაინც ყოველს მოლოდინს გადააჭარბა. ერთი მაგალითი არ ყოფილა, რომ სხდომებზე ხმოსნებს თავისით საკმაოდ მოეყარათ თავი და ქალაქის გამგეობას არ დასჭირებოდეს კაცების აქეთ-იქით გზავნა მათ მოსაყვანად. ამგვარადაც კი ძლივს-ძლივობით 45 ხმოსნიდან როგორმე 15 კაცს თუ მოაგროვებდნენ საბჭოს დარბაზში და სხდომა გაიხსნებოდა. უკანასკნელ თვეში ხომ ოთხჯერ ზედიზედ არ შესდგა სხდომა, რაც—წარმოიდგინეთ!—ქუთაისის საბჭოს ისტორიაშიაც კი იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, და ქალაქის საქმეები ხელუხლებლად უნდა წარედგინოს ბ-ნს გუბერნატორს განსახილველად და თავის ჭკუით გადასაწყვეტად! ამგვარად, ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ, მისდა სამარცხვინოდ, ხელი აიღო თავის საკუთარ საშინაო საქმეების მართვა-გამგეობაზე და ადმინისტრაციას მოახვია იგი თავზე! აი, ამას ჰქვია ქუთათური საქმიანობა! იმ დროს, როდესაც ყველანი ერთხმად თხოულობენ ავტონომიას, ფართო ადგილობრივ თვითმართველობას, ქუთაისის ხმოსნები იმ ვიწრო თვითმართველობაზედაც კი ხელს იღებენ, რაცა აქვთ, და თავის საქმეებს ადმინისტრაციას აწყვეტინებენ!

ქალაქის მიერ იჯარით აღებულ თოფურიასეულ სავადმყოფოს საქმე ვერ მიდის სასურველად; სავადმყოფოს შემოსავალი ხარჯებს ვერ ჰფარავს; წარსულ წლის 7 აგვისტოდან ამჟამამდე ქალაქს დასჭირებია სავადმყოფოს შესანახად შემოსავლისათვის 4,000 მანათი დაემატებინა. ამ გარემოებამ ძლიერ ჩააფიქრა ქალაქის გამგეობა. უკანასკნელმა ამას წინად მოიწვია ქალაქის სავადმყოფოს კომისია, რომ მოელაპარაკნა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ქალაქმა შემდეგშიაც იჯარით აიღოს სავადმყოფო. კომისიამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ თუმცა ქალაქისთვის მეტად საძნელოა თავის საშუალებიდან ყოველ წლიურად 4—5 ათასი მანათი ჰხარჯოს ხსენებულ სავადმყოფოს შესანახად, მაგრამ, რადგანაც ქალაქს სხვა სავადმყოფო არა აქვს და მცხოვრებლების სულ უსავადმყოფოდ დატოვება არ შეიძლებაო, გამგეობამაც დაადგინა: ქალაქმა ერთის წლის ვადით კიდევ აიღოს სავადმყოფო, მხოლოდ ისე კი, რომ 4,000 მანათზე მეტი არ მისცენ ქირად სავადმყოფოს პატრონს (ამჟამად ქალაქი წლიურად 6,000 მანეთს იხდის). რაც შეეხება იმ კითხვას, შეიძინოს თუ არა ქალაქმა ეს სავადმყოფო თავის საკუთრებად, კომისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს ყოვლად მოუხერხებელია, თუნდ სავადმყოფო ძლიერ იაფადაც მოგვყიდონო, რადგან ეხლანდელი შენობა სავადმყოფოსი სრულიად გამოუდეგარიაო. ამასთანავე კომისიამ საჭიროდ სცნო, სავადმყოფოს მმართველის დოსტაქრის გერრატის ნაცვლად, რომელიც მოკლე ხანში სტოვებს ქუთაისს, მოიწვიონ სხვა დოსტაქარი; უკანასკნელს ადგილი ექმნება ქალაქის ახალ სავადმყოფოს აშენების შემდეგაც. კომისიამ მოიწონა გამგეობის მიერ წარდგენილი ახალის სავადმყოფოს შენობის გეგმა. სავადმყოფო უნდა აშენდეს სადორიის აგარაკში, ბაღდადის გზატკეცილის ნაპირზე, სადაც ტყე იწყება.

ამ დღეებში ქუთაისში მოელიან ქალაქის მოურავს დ. ა. ღორთქიფანიძეს, რომელიც 6 ივლისს მოსკოვში უნდა დასწრებოდა ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლების კრებას.

როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობის წევრს გრ. ი. გველესიანს შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ ნება დართოს მას გამოსცეს ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი, თავისუფალი წინასწარ ცენზურისაგან.

ისარი.

* * *

„არეულობა“

ამ საპოლიციო განცხადებას ვაკრავთ ყოველ ახალს მოვლენას, ყოველს ახალ ფაქტს, რომელიც კი „ძველ, დალოცვილ რეჟიმის“ ფარგალს გადასცილდება... ჩვენ ისე დავემონეთ ძველს ფორმებს და უწინდელ ცნებებს, ისე შევეჩვიეთ ძველ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ ყოველი ახალი მოვლენა, მისწრაფება ჭეშმარიტ ცხოვრებისაკენ გვაშინებს და გვაოცებს; იმის მაგივრად, რომ ჩაუკვირდეთ ამ მოვლენათა ხასიათის გამოკვლევას, მათ წარმოშობის მიზეზებს, შიშით აქეთ-იქით ვიყურებით და ზედ ვაკრავთ საპოლიციო განცხადებას,—„არეულობა“!..

საზოგადოებრივ გახრწნილობასთან ბუნებრივ ბრძოლას, ხალხის ბრძოლას სასიცოცხლო უფლების მოსაპოვებლად, გმირულს, გაბედულ სურვილს, რომ დაუბრუნდეს ხალხს ის უფლებები, რომელიც მას უნდა ეკუთვნოდეს უთუოდ, ყველა ამ საყურადღებო მოვლენას, რომელსაც მომავალი ისტორია გაიკვლევს, ჩვენ მხოლოდ ეს ერთი სახელი უნდა ვუწოდოთ,—„არეულობა“?

არიან ისეთი პირები, რომლებიც ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ, ქვეყანა დაარწმუნონ, რუსეთი ისეთს ქვეყანას წარმოადგენს, სადაც ყველაფერი ერთხელვე დაკანონებულ წესებით უნდა მიდიოდესო... ყველაფერი, რაც კი ეწინააღმდეგება ამ წესებს „არეულობაა“ და უნდა „მოისპოსო“...

„ნოვოე ვრემია“ ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს, ასეთი აზრები გაავრცელოს ხალხში და ყველაფერი „არეულობის“ სახელით მონათლოს. მას არ შეუძლიან გულ-გრილად იყოს, როდესაც ეუბნებიან, რომ მთელს რუსეთს მოედო მძლავრი საზოგადოებრივი მოძრაობა და არა უბრალო „არეულობა“... როდესაც გაზეთებში დაიბეჭდა წერილი, სადაც დღევანდელი მოძრაობა ტერიტორიალურად იყო დანაწილებული, „ნოვოე ვრემია“-მ მაშინვე პროტესტი გამოაცხადა. მას საზოგადოებრივ მოძრაობად არ მიაჩნია ყოველივე ის, რაც ხდებოდა და ეხლაც ხდება დასავლეთ რუსეთში და კავკასიაში. მისთვის ეს ჩვეულებრივი „არეულობაა“, საზოგადოდ კი იქ ყველაფერი წესიერად არისო. ეს გაზეთი თავის ნებით საპოლიციო სამსახურს კისრულობს და ივიწყებს, რომ ყოველსავე უფლებას მოკლებული ხალხი ისეთ რამეებს შესძლებს, რომლის გაგონებაზე თვით ბებრუცანა „ნოვოე ვრემიასაც“ თმები აებურძგება...

რუსეთის ზოგიერთი ნაწილი, რომელიც მოკლებულია ყოველ-გვარ უფლებას, რომელსაც ყოველთვის უშლიდნენ თავისუფალ განვითარებას, რომელიც ამისდა მიუხედავად, ისეთივე ხარჯის გადამხდელი ყოფილა ყოველთვის, როგორც შიდა-გუბერნიის მცხოვრებნი, „ნამდვილი რუსები“—ახლა ითხოვს თავის გათელილ უფლებების აღდგენას, თხოულობს ადამიანურ ცხოვრებას, თხოულობს ყველა მცხოვრებლების თანასწორობას...

ნუ თუ ყველა ეს... „არეულობაა?“

მაშ რაღაა „წესიერება?“

„ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით, შიგ რუსეთში მცხოვრები ექვსი მილიონი ებრაელი ონდა მოკლებული დარჩეს მოქალაქობრივ უფლებას; ებრაელებმა უნდა მანჯურიაში სისხლი ღვარონ რუსეთისათვის, მაგრამ, ამასთანავე, ნება არ უნდა ჰქონდეთ, თავისუფლად იმოგზაურონ რუსეთში. და ეს არის „წესიერება!..“ მათ არ შეუძლიანთ თავისუფლად განავითარონ თავისი ნიჭი და მიიღონ უმაღლესი განათლება, მათ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ არც ერთს სახელმწიფო დაწესებულებაში, და ყველა ამას მოითხოვს იგივე „წესიერება“...

მაგრამ განა მარტო ებრაელები სცდილობენ „ადამიანურს“ ცხოვრების და უფლებების მიღებას? განა მარტო ებრაელები აცხადებენ „პროტესტს არსებულ წყობილების“ წინააღმდეგ? რუსეთის ყველა მხრიდან იმის პროტესტის ძლიერი ხმები და, როდესაც ეს პროტესტი არღვევს ყველაფერს, რაც კი წინ გადაეღობება, როდესაც ახალ ცხოვრების ალი რუსეთის ყველა კუთხეში ჩნდება და საშინელის სისწრაფით ძლიერდება, ჩვენ ღიმილით გვეუბნებიან: „აბა, ღმერთო ჩემო, ეს სადაური „მოძრაობაა“? ეს ხომ „არეულობაა“. მუშტი მაგათ და ყველგან ისევ „წესიერება“ დამყარდებაო“.

ასეთი განმარტება მორჩილი მონის სამსახურია...

მაგრამ მეტად ცუდ სამსახურს უწევენ დღეს ეს ვაჟბატონები რუსეთს, რომელსაც თვით-ნებობისა და უკანონობის უღლის ჩამოშორება სწყურია (ნოვოსტი).

გიორგი ერასტოვი.

* * *

რუსეთი

✦ 4 ივლისს, ღამე, ვარშავაში **სამის ტყვიით მოჰკლეს უბნის უფროსი.** მკვლელებს გამოუდევნენ სალდათები, მაგრამ ვერ დაეწივნენ. მერე შემთხვევით წააწყდნენ სამ კაცს, რომელთაც იარაღი აღმოაჩნდათ. სამივენი პოლიციაში წაიყვანეს, მაგრამ გზაში უცნობები ხელიდან გაუსხლტნენ და მიიმალნენ. სალდათებმა სროლა ასტეხეს და შემთხვევით ერთი ბუჰჰალტერი მოჰკლეს (რ. ს.).

✦ მინსკის გუბერნატორმა სამ-სამის თვით დააპატიმრა 152 კაცი, რომელნიც დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ. მათ შორის 69 დედაკაცია (რ. ს.).

✦ „ნოვოსტი“-ს ანგარიშით, მარტო აღდგომის კვირას, მთელს რუსეთში პოლიცია-კაზაკებთან შეტაკების დროს მოკლულ იქმნა 216 და მძიმედ დაიჭრა 354 კაცი. მსუბუქად დაიჭრა და დაშავდა 1500-მდე, ასე რომ, **ერთ კვირაში ეხლანდელმა მოძრაობამ 2,000 კაცი იმსხვერპლა.** ანგარიშში არ არის ჩათვლილი გლეხთა მსხვერპლნი, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათასი უნდა იყოს (რაზ.).

✦ პოლონურმა ენამ **მონობის უღელი აიხსნა.** მთელს პოლონეთში რჩევები, ფაბრიკებისა, მაღაზიების და ყოველნაირი განცხადებები პოლონურ ენაზე იწერება (რ.).

✦ **პოლონელთა დეპუტაცია,** გრაფ კასინსკის მეთაურობით, მივიდა პეტერბურგს, სადაც მოლაპარაკება უნდა დაიწყოს პოლონურ ენის შესახებ (რ. ს.).

✦ პეტერბურგში დაიკეტა უდიდესი—პუტილოვის ქარხანა. ათი ათასამდე მუშა ულუკმაპუროდ დარჩა. ქარხანას კაზაკები იცავენ. 5 ივლისს ამ **კაზაკებს ყუმბარა ესროლეს.** ყუმბარა ერთ კაზაკს მუხლებზე დაეცა და არ გასკდა (რ. ს.).

✦ ამ დღეებში პეტერბურგის სამხედრო სასამართლო გაასამართლებს 21 მატროსს, რომელთაც **აჯანყება ბრალდებათ** (რ. ს.).

✦ 30 იენისს ოდესაში **ჩამოაღრჩვეს 24 მეთაური** ოდესაში მომხდარ აჯანყებისა. 18 მეთაურს საჯაროდ ჩამოაღრჩობენ. ოდესაში მოიყვანეს 40 მძიმედ დაჭრილი აჯანყებული გემ „როსტისლავი“-დან და 90 აჯანყებული გემ „გიორგი პობედონოსეც“-იდან. ყველანი დასჯილ იქნებიან (რუს. სლ.).

✦ ლოძის **ეკლესიებში ყოველ დღე კრებები და აგიტაცია იმართება:** სიტყვებს ამბობენ, ხალხს აღელვებენ და სარევოლუციო სიმღერებს მღერიან. პოლიცმეისტერი დაემუქრა სამღვდელოებას, თუ მლოცველებს კიდევ მიეცით კრებების გამართვისა და აგიტაციის ნება, თქვენც დაგსჯით და ეკლესიებსაც დავკეტავო (რ. ს.).

✦ ცნობილი **მწერალი ტანი,** რომელიც სოფლებში დადიოდა და გლეხთა მოძრაობას სწავლობდა, სარატოვის გუბერნატორის ბრძანებით, **დაპატიმრებულ იქმნა** (რ. ს.).

✦ რადგან პოლონეთსა და ბალტიის მხარეში სარწმუნოების თავისუფლებით სარგებლობენ და მართლმადიდებლობიდან სხვა ეკლესიაში გადადიან, ამიტომ შესდგა განსაკუთრებული კომისია სენატორის შიხმატოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც ისეთი ზომები უნდა გამოსძებნოს, რომლის საშუალებით მართლმადიდებლებს სხვა სარწმუნოების მიღება არ შეეძლოთ (რ. ვ.).

კუნძული კაბაფუტო რუსების ხელში

როდესაც კუნძული სახალინი (იაპონურად—კაბაფუტო) რუსეთმა პირველად ჩაიგდო ხელში, ვერც ერთის მხრით ვერ გამოიყენა. კაბაფუტოზე იაპონელებმა ქვანახშირის მადანი აღმოაჩინეს და შესამჩნევადაც სარგებლობდნენ. როდესაც ეს მადნებიც კუნძულთან ერთად რუსეთმა დაიჭირა, რუსეთის ბიუროკრატიამ გამოაცხადა: მართალია მდიდარი მადანი ყოფილა, მაგრამ იაპონელებს სულ დაუცლიათ და ახლა საწარმოოდ აღარც კი ღირსო. რუსეთის ბიუროკრატიამ მაინც თვითონ მოჰკიდა ხელი ამ მადნების წარმოებას და მთელის წლის განმავლობაში მხოლოდ 170,000 ფუთი ქვანახშირი ამოჰქონდა მიწიდან; 1894 წელს ეს რიცხვი 850,000 ავიდა და ეს იყო და ეს. ამის შემდეგ, როდესაც ამერიკის კომპანიამ ითხოვა: მადნების წარმოება დაგვითმეთ და წელიწადში 3 მილიონ ფუთს ქვანახშირს ამოვიღებთო, უარი შეუთვალეს—ამდენი ნახშირი არ ამოვაო. იაპონელებმა კი ამ „გამოფხეკილ“ მადნებიდან 1886 წ. 1,374,000 ტონი ნახშირი ამოიღეს (ტონი 62 ფუთია) 1891 წელს—3,170,000 ტ., 1896 წ.—5,020,000 ტ. და 1901 წ.—8,996,000 ტონი ქვანახშირი. ამასთანავე უსურიისა და აღმოსავლეთ-ჩინეთის გზებსაც უმთავრესად იაპონია აძლევდა ქვა-ნახშირს...

სათევზაო ადგილების გამოყენება ხომ სულ ვერ მოახერხა რუსეთის ბიუროკრატიამ. ამას ხომ დიდი ჭკუა და მოხერხება არ უნდოდა, რადგან, სხვა არა იყოს რა, ქვირითობის დროს, ზღვის ტალღა აუარებელ თევზს გამორიყავს ხოლმე ნაპირებზე და აკრეფის მეტი არა სჭირდება-რა.

იაპონია ამ მხრივაც მარჯვედ ხმარობდა ამ ადგილებს და იმდენი თევზი გაჰქონდა სახალინიდან, რომ მისი შიგნეულით მინდვრებს ანოყიერებდა. რუსეთის ადმინისტრაციამ კი ყველასთვის ცნობილს კუნსტისა და ალბერსის კომპანიას ხელშეკრულობა დაუდო, რომ სახალინზე დამარილებული თევზი მოეტანა მცხოვრებლებისთვის. სახალინის თევზს იაპონია უნდა შემოევლო, იქ დამარილებულიყო და სახალინზე ისე დაბრუნებულიყო. რუსეთის ადმინისტრაცია ამაყობდა კიდეც ასეთის ხერხიანობით,—თევზის გატანის დროს ბაჟად რამდენსამე ათას მანათს ვახდევინებთო, და იმას კი აღარა ფიქრობდა, რომ ხელმეორედ შემოტანილი თევზი ერთი-ათად უფრო ძვირად უჯდებოდა ამავე ადმინისტრაციას. ასეთივე უნიჭობა გამოიჩინა ადმინისტრაციამ სატყეო საქმეებშიაც. ამ რამდენისამე წლის წინად გაზეთებმა გვაცნობეს, რომ სახალინის ტყეები იწვისო. რა არის მერე? იწვის, იწვის, დაიწვება და, ზღვამდის რომ მიაღწევს, თავის-თავად ჩაქრებაო,—სთქვა რუსეთის ადმინისტრაციამ და შესანიშნავი ტყეები მართლაც გადაიწვა. როდესაც სატყეო საქმის მოსაწესრიგებლად მთავრობამ 10 ათასი მანათი გადასცა, ამ საქმის მეთაურნი ირკუტსკის სასამართლომ პასუხის გებაში მისცა... ალბად მიზეზიც იქმნებოდა!.. ამას რომ სახალინზე გზების უქონლობაც დავუმატოთ, ამ კუნძულის სრული სურათი დაგიდგებათ თვალწინ. მთელს კუნძულზე, 500 ვერსი გზაც არ არის გაკეთებული, სამხრეთი ნაწილი ჩრდილოეთიდან უგზოობით სრულიად მოწყვეტილია. ასე ჰპატრონობენ კუნძულს, რომელზედაც ხალხის ოფლით მონაგარი 1½ მილიონი მანათი იხარჯებოდა ყოველ წლივ. იაპონელები კი, თუმცა მთელი კუნძულის მფლობელნი არ იყვნენ, მაგრამ სახალინიდან ყოველ წლივ სამ ნახევარ მილიონ მანათით მაინც სარგებლობდნენ. რუსეთის ბიუროკრატია სახალინზე ჰგზავნიდა მხოლოდ დამნაშავეებს.

ამ სახით ბოლო დრომდე 28,113 სულმა მოიყარა თავი. ამოდენა ხალხი იქ უყურადღებოდ მიატოვა ადმინისტრაციამ: არც მიწები მისცა, არც დახმარება გაუწევია მათთვის, რომ თითო ქოხი მაინც ჩაედგათ და მეურნეობისათვის მიეყოთ ხელი.

ოფიციალურ ანგარიშებს კი ბრტყელ-ბრტყელის ფრაზებით აფერადებდნენ.

სახალინის მცხოვრებთა უმრავლესობა მამაკაცები იყვნენ. ამან ათასგვარი გარყვნილება და გახრწნილება გამოიწვია. 8—9 წლის ბავშვებს,—ქალებს ჰყიდიდნენ. ათასი გადამდები სენი მოედო მთელს კუნძულს. სიღარიბე და გახრწნილება,—ნუ თუ ამას უნდა აეყვავებინა ხალხის ცხოვრება შორეულს კუნძულზე.

სახალინის გამო ბევრი რამ დაწერილა. ჩეხოვი, დოროშევიჩი, მიროლიუბოვი და სხვანი ბევრნაირად შეეცადნენ მწერლობით ყურადღება მიექციათ ამ ბედკრულ მხარისთვის, მაგრამ ამაოდ. სახალინი, სატუსაღოებით სავსე იყო. მაგრამ სად იყო სკოლა?.. სად იყო მზრუნველობა ხალხის გასაადამიანებლად?..

დღეს, როდესაც სახალინი (კაბაფუტო) იაპონიამ ჩაიგდო ხელში, რუსების ბიუროკრატები მოსთქვამენ, კუნძული ხელიდან წაგვივიდაო. უნდა იცოდეს ყველამ, ამ „მამულიშვილებმაც“, რომ კაფაბუტო არსებითად რუსეთის არც როდის არა ყოფილა წინად, რადგანაც რუსებს არაფითარი სასიცოცხლო ძალა არ შეუტანიათ

ალექსანდრე პოლტაველი.

* * *

ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების კრება.

ორშაბათს, 11 ივლისს, კრებამ, სხვათა შორის, მოისმინა მოხსენება კომისიისა პ. კორხანიდის საქმის შესახებ. მოგვყავს იგი შემოკლებით.

28 ივნისს, 1905 წელს, ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრებამ, ბ-ნ კორხანიდის თხოვნისამებრ, აირჩია: 1) გ. გაბაშვილი, 2) ივ. მაჰავარიანი, 3) ალ. მირიანაშვილი, 4) ვას. რცხილაძე, 5) გ. ყაზახაშვილი და 6) ეგ. ხრამელაშვილი და მიანდო გაარჩიოს ბ-ნ კორხანიდისადმი ბრალდება და შეურაცხყოფა, რომელიც გამოითქვა 1905 წელს 21 თიბათვეს, საზოგადო კრებაზე ბ-ნთ დ. ღუმბაძისა, პ. სურგულაძისა, ნ. ცხვედაძისა და სხვ. ორატორთა მიერ. თანახმად 28 თიბათვის საქმისა, ბ-ნ კორხანიდს შეურაცხყოფად მიაჩნია, რომ იგი „დასახეს ჯაშუშად და მის მიერ სახელმძღვანელოს შედგენა საეროვნო დანაშაულობად“

კომისია შეუდგა საქმეს მეორე დღეს და 29 ივნისიდან დაწყებული 9 ივლისამდე ჰქონდა სულ შვიდი კრება.

ჩქარა სკამი, სკამი მოართვი!—დაიღრიალა ბარძიმმა ისე რიხიანად, რომ აზნაური ქინქლაძე ერთ ადლზე უკან გახტა, მაგრამ ისე მალე დაიჭირა თავისი პოზიცია, რომ ბარძიმმა ვერც კი შენიშნა... ქეთევან! აბა, რითი დავსაჩუქროთ ეს ჩვენი ჰიჰიკო?.. მოიცა!.. შენ ყმები გყავს? უცებ ჩაეკითხა ჰიჰიკოს ბარძიმი.

— ვინ მომცა, ბატონო! მე თვითონ საბატონო აზნაური გახლავარ,—ყელ-გადაგდებით წარმოსთქვა ჰიჰიკომ.

— განა თქვენში საბატონო აზნაურს ყმები არა ჰყავს?

— იშვიათად, ჩემო ბატონო!

— მაშ მე, თუ კაცი ვარ, მაგ ორ წევარში ერთს კომლს კაცს გაჩუქებ შვილიან-ძირიანად.

— იმე, ბატონო! არ ვღირსვარ თქვენს მოწყალებას,—სთქვა ჰიჰიკომ და ისე გაიზნიქა წელში ბარძიმის წინაშე, თითქო, ეს არის, უნდა გადაიმტვრესო.

— ბიჭო, შენ,ე! წადი ეხლავე, სად იყოს და სად არა, მონახე ნინია ციცაგი და სულ ერთიან აქ მომგვარე წიწილ-კრუხიანად.

— ღმერთო მომკალ! წიწილ-კრუხს ვიღა ათრევს,—გაიფიქრა გულში ჰიჰიკომ.

V

ბრძანება ფიცხლავ შესრულდა: მოიყვანეს ბატონის წინაშე ციცაგის სახლობა.

ნინიას ტიტველა, უპერანგო ტანზე დაფხავებული და ფარა-ფარად ნაქცევი მაზარა ეცვა, თავზე ნარმის ნაჭერი ჰქონდა წაკრული, რომელშიაც ჭუჭყიანი, გაჭაღარავებული თმა ჰქონდა აქა-იქ ამოყოფილი; წვერ-ულვაში ბარდავით გაჰბმოდა და თმას გადაჰბმოდა. ნინია ჯერ სულაც არ იქნებოდა ასე ოცდა ათის წლის კაცი, მისი ნენეც ოცდა ექვსი წლისა თუ იყო, მაგრამ ორივე ძალზე გატეხილნი და გამოღამებულნი იყვნენ. იმათი ორი ქალიშვილები ჭუჭყისაგან—წუმპეში ამოვლებულს გოჭებს უფრო ჰგვანდნენ, მინამ ადამიანის შვილებსა.

აი, ეს საცოდავი ოჯახი თავდახრით გაჩერდა აივნის წინ და განაჩენს ელოდა.

— გესმის შენ, ნინია!... აი, შენი თავი ოჯახობით ამ აზნაურშვილს ვუწყალობე!..—ჰიჰიკო გაიჭიმა და ულვაშს ხელი გადაისვა...—უნდა დასტოვო აქაურობა და ოჯახობით თან იახლო...—ამ დროს თავადი ბარძიმი თან გრძელ ჩიბუხს ატრიალებდა, თან შველას და წარბას ელერსებოდა...—მაგან ამ დილით სიზმარი ამიხდინა: აი, ორი ამისთანა საუცხოვო, კალმით ნახატი მწევარი მომართვა. ორი კომლის ღირსი იყო, მაგრამ ორში ახლა ოთხს ხელს გაძლევ... ეს ციცაგი,—მოუბრუნდა ჰიჰიკოს და უთხრა,—ღორის ჯიშისაა, იმდენს დაჰყრის, რომ, ვინ იცის, თავის დროზე სამი კომლიც გახდეს.

ჰიჰიკომ მდაბლად დაუკრა თავი და მადლი გადაუხადა.

ნინიასაც აუხდა სიზმარი... ნინიას დაჩაგრულს, მონობისაგან გამოფიტულს გულში სისხლმა ჩუხჩუხი დაუწყო. ნინიას გულშიც გაიღვიძა მოფერფლილმა ნატამალმა ადამიანობისამ, უკმაყოფილების ჭიამ გაიღვიძა, ერთხანს გაუელვა აზრმა, გაიქცეს, გადაიხვეწოს სადმე, მაგრამ საბრალო ნენე, საცოდავი ბალღები!? ვის დაუტოვოს, ყელი გამოსჭრას?!. დააპირა ფრჩხილებით და კბილებით სცემოდა ბატონს, გული ამოგლიჯა საგულედან და სისხლი ამოეწოვა, მაგრამ ნინიას ბუნებაში გამჯდარმა მონობამ თავისი გაიტანა, დასძლია ერთხანად აფეთქებული, აპრიალებული სურვილი: დაემხო ბატონის წინაშე, კარგა ხანს ყრუდ იქვითინა და ფეხები დაულტო მის ბრწყინვალებას ნინიას თვალთაგან მონადენმა ცრემლის ცხელმა ნაკადულმა. ქვასაც კი გახვრეტდა, თვით სიპს ქვასა, ეს ცხელი ცრემლი ნინიასი, მაგრამ ბარძიმის გული უფრო გაბოროტა და გაამხეცა.

— ადექ, შე წუწკო მონავ! რა გველივით მეხლაკნები ფეხთა წინაშე!..—მძლავრად ამოჰკრა ფეხი ნინიას ცხვირში და, როცა ნინიამ პირი გააღო და წამოიძახა: „რადა მკლავ, შე ულმერთოო“—მაშინ ბარძიმმა ჩიბუხი მოიშველია და კბილებში უთავაზა.

აქნამდე მოციმციმე მზე, რომელიც ბატონსა და ყმას ერთნაირად შესციცინოდა და ჰფენდა ნათელსა და სითბოსა, შეძრწუნდა; თავი ღრუბელს მიაფარა და აქიდან უმზერდა ბატონის გულქვაობასა და ყმის სიბეჩავესა.

მშველა და წარბაც შეიშმუშნენ, გამოეშვნენ ბარძიმის ხელიდან, ყრუ ღრენა მორთეს და ჰიჰიკოსაკენ გაიწიეს. თითქო პირუტყვებმაც იგრძნეს გულქვაობა ბატონისა. ბატონმა შეამბოხენი წრუწუნითა და თავზე ხელის გადასმით დაამშვიდა.

ამ დროს ნინიას ნენემაც წამოიჩოქა ბატონის წინაშე; ბავშვები აქეთ-იქით ნაწნავებზე დაეკიდნენ დედასა; სამივე დედა-შვილნი მწარედ აქვითინდნენ და სამს ხმაზე მორთეს ტირილ-ვაება. თან შესცქეროდნენ ბატონს შემავედრებელის თვალითა, ეგონათ, გულს მოულბობდნენ, მაგრამ ვერც ამ სურათმა შეატოკა ბარძიმის გაქვავებული გული.

ნინია ებრძოდა თავსა, რომ სამაგიერო მიეზღო ბატონისათვის. ცხვირპირის ჩამტვრევამ, კბილების ჩაყრევინებამ ნინია ისე მძლავრად ვერ შეაწუხა, როგორც ცოლშვილის აწიოკებამ, იმათმა ქვითინმა. ამ სურათს ზედ დაერთო და წითლად ჩაეხლართა სამშობლო კერას მოშორება: ნინიას თვალწინ გადაეშალა დაცხრილული წნულის ფაცხა, სისხლის ოფლით დამუშავებული ერთი კვალი სიმინდის ყანა, ერთი ბოხჩა ვენახი!!. ჯოჯოხეთის ალი დაუტრიალდა გულ-მუცელში, გულმა წიწკვნა და წვა დაუწყო, თითქო შიგ ღველფი ჩაუყრიათო.

დაგუბებულმა ნაღველმა მონობის ჯაჭვი მოალბო, მოადუნა, იქცა მძლავრ ნაკადულად და გადმოხეთქა ნინიას ბაგეთაგან. ნინიას თითქო ლომის ძალა მიეცა, ვეფხის სიმკაცრე, არწივის თვალი. შემოტრიალდა ბატონისაკენ და ცოფმორეულიით, კბილების ღრჭენით უთხრა ბარძიმსა:

— ერთი დრო არავის შერჩებაო, ნათქვამია; ცუდ-კაცობას ბოლოს გამოუჩენავს და შენს მისხის-მისხს მოჰკითხავს ღმერთი სამაგიერო პასუხსა... მიწყივ—დაბადებიდანვე ღამე დღეს უთენებია. ჩემი ღამე ძიელ, ძიელ გრძელია, მაგრამ ღმერთი ჩემს ღამესაც დღეს დაუყენებს და გაათენებინებს... იქნება ჩემისთანა გათახსირებულსაც ჩამოადგეს შუქი... ჰმ, შენში ღმერთია!?. ძაღლში მცვლი, ძაღლში!!.. მაშორებ ჩემს სოფელსა, ჩემს სალოცავებს, მამა-პაპათა საფლავებს, ჩემს კერას!!.

— შეხედეთ ერთი ამ წუწკსა, ამასა! ბიჭებო, დაჰკათ ამ წუწკსა, მე ნულარ გამასვრევინებთ ხელს მაგის ბინძურს სისხლში!.. არ გესმით, თქვე თავხედებო! დაჰკათ-მეთქი!..

ბიჭებს რეტი დაასხა ნინიას სიტყვებმა, მისმა ყოფამ, ამ საშინელმა სურათმა. ისინი გაყრუმუნჯდნენ და ბატონის რიხიანი ბრძანება, რომელიც კვლავ თავზარსა სცემდა, ეხლა აღარ ესმოდათ.

— შეჰით ამათა და!!. მაშ მე თვით ამოვაგლეჯთ მაგ პილწ ენასა, რომლითაც ჩემი შეგინება გაბედა,—დაიღრიალა ბარძიმმა და მთელმა არე-მარემ ზრიალი მორთო.

— აბა, ჩემო სიცოცხლე! როგორ უყადრებ თავსა შენს მონასა, როგორ კადრულობ მონას სისხლში ხელს გასვრასა,—უთხრა ბარძიმს ცოლმა ქეთევანმა ნუგეშისა და დაყვავების კილოთი და ხელები შემოჰხვია კისერზე გაფთრებულს თავადსა.

— წავალ, ბატონო ჩემო, წავალ! მაგრამ **გულზე დაიჭდეი:** როდისმე ცივს ტეხვრა იანვარში რწყილმა რომ გიკბინოს, ის მე,—ეს საწყალი ნინია ციცაგი,—ვიქნები...

ს. მგალობლიშვილი.

პირველ კრებაზე კომისიის წევრებმა თავის შორის აირჩიეს თავმჯდომარედ გრიგოლ გაბაშვილი და მდივნად—გიორგი ყაზახაშვილი. ამასთანავე დაადგინეს, კომისიის კრებები საჯარო იყოს, ვიდრე კომისია შეჰკრებს საჭირო მასალას. ამიტომ გადასწყვიტა, გარდა მოდავეთა და მოწმებისა, მოეწვია აგრეთვე მასწავლებელნი, მოწაფენი, ზოგიერთი საზოგადო მოღვაწე, პრესსის წარმომადგენელნი და ყველა ის, ვინც ამ საქმეში დაინტერესებულია.

კომისიის არც ერთს კრებაზე არ გამოცხადდნენ და წერილობითი მოხსენებაც არ წარმოადგინეს ბ-ნთ პ. სურგულაძემა და ნ. ცხვედაძემ, თუმცა პირველს მათგანს კომისიის თავმჯდომარემ სიტყვიერად გამოუცხადა, წერილობითი მოხსენება წარმოედგინა, რაკი ბ-ნს სურგულაძეს აქ დარჩენა არ შეეძლო და სოფლად უნდა წასულიყო. ხოლო მეორემ, ბ-ნ ცხვედაძემ, მდივნის პირით მოახსენა კომისიას, რომ კრებებს ვერ დაესწრება და ახლაც იმ აზრისაა, რაც გამოსთქვა 21 თიბათვის საზოგადო კრებაზე.

ამასთანავე უნდა მოვახსენოთ კრებას, რომ, თუმცა ბ-ნ დუმბაძემ ზეპირად და წერილობით კომისიას დაუსახელა კიდევ ორი მოწმე—მასწავლებელი იუსტინე აბულაძე და მღვდელი კელენჯერიძე, მაგრამ კომისიამ არ შეიწყნარა მისი თხოვნა, რადგან მეტად მიაჩნია ეს ჩვენება და განსაკუთრებით იმიტომ, რომ თვით ბ-ნ დუმბაძემ არ აღნიშნა ვადა, როდის იქნებიან ეს მოწმენი ტფილისში, რომ კაცს შეეძლოს მათი ჩვენებაც მოისმინოს.

რაკი კომისიის კრებები საჯარო იყო, ამიტომ კომისიის თავმჯდომარემ სრული თავისუფლება მისცა, როგორც მოდავეთა და მოწმეთ, აგრეთვე ყველა იქ დამსწრეს, რომ მოეხსენებინათ კომისიისთვის თავისი ჩვენება და აზრი შესახებ საქმისა.

გარდა ამისა, კომისიას ხელთა ჰქონდა ზოგიერთ ზემოხსენებულ პირთა წერილობითი საბუთები, ბ-ნ კორხანიდისა და იაკობ გოგებაშვილის მიწერ-მოწერა მთავრობასთან, შეძლებისა და გვარად თავი მოუყარა ამ საქმის შესახებ დაბეჭდილ მასალას, შეჰკრიბა ცნობები კერძო და სახელმწიფო დაწესებულებიდან, ორ თავის წევრს განსაკუთრებით მიანდო ბ-ნ კორხანიდის „ჟივოე სლოვო“-სი, ბ-ნ გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო“-სი და მათი მეთოდიკების გარჩევა.

ყველა ეს მასალა კომისიამ ასწონ-დასწონა და დაადგინა შემდეგი: ზემოხსენებული ბრალდება ბ-ნ კორხანიდისადმი, ე. ი.: ა) რომ იგი ჯაშუშია, ბ) რომ იგი აგენტია მთავრობისა, გ) რომ იგი იარაღია დეკანოზ ვოსტორგოვის ხელში, დ) რომ ბ-ნ კორხანიდის სახელმძღვანელო „ჟივოე სლოვო“ ანტიპედაგოგიურია და ე) რომ ეს სახელმძღვანელო ანტინაციონალურია ქართველებისათვის,—ეს ბრალდება არაფრით არ მტკიცდება.

ამასთანავე კომისიას ვალად მიაჩნია მოახსენოს საზოგადო კრებას, რომ დამსწრე მასწავლებელთა და მოწაფეთა უმრავლესობამ აღიარა, რომ ბ-ნი კორხანიდი უნიჭიერესი მასწავლებელია და საუკეთესო ამხანაგი.

კომისიის ამ გადაჭრილ აზრს არ ემხრობა მარტო ერთი წევრი გ. ყაზახაშვილი შესახებ ბრალდების სამ უკანასკნელს მუხლისა, ე. ი. გ) რომ ბ-ნი კორხანიდი იარაღია დეკანოზ ვოსტორგოვის ხელში, დ) რომ ბ-ნ კორხანიდის სახელმძღვანელო „ჟივოე სლოვო“ ანტიპედაგოგიურია და ე) რომ ეს სახელმძღვანელო ანტინაციონალურია ქართველებისათვის; იგი საჯაროდ აღიარებს, რომ საკმაო მასალის უქონლობისა გამო და მთავარ კითხვების შეუსწავლელად, ჯერ ჯერობით, ვერ ძალუძს, ქუდი დასდოს და სამართალი ბ-ნს კორხანიდის სასარგებლოდ გადასჭრას.

რაც შეეხება პირველ მუხლს ბრალდებისას, რომ ბ-ნი კორხანიდი ჯაშუშიაო,—თუმცა კომისიამ შეამოწმა, რომ ეს სიტყვა „ჯაშუში“ ბ-ნ დუმბაძემ სთქვა 1905 წელს 21 თიბათვის საზოგადო კრებაზე, მაგრამ ბ-ნი დუმბაძე სიტყვიერად და წერილობითი მოხსენებითაც აცხადებს, რომ ეს სიტყვა მას არ უთქვამს და ამიტომ ბ-ნ კორხანიდის ბრალსა სდებს მარტო უკანასკნელის ოთხის მუხლით.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

12 ივლისი.

გოძიადანი, 11 ივლისი. გუშინ ორი ნაღმოსანი იაპონელთა მიუახლოვდა დოკასტრის, რამდენჯერმე ზარბაზანი ესროლა და ჩრდილო-აღმოსავლეთად წავიდა. დუესთან მდგარი გემები სამხრეთ-დასავლეთად წავიდნენ ვიახტის მახლობლად გამოჩნდენ გემები, მაგრამ ვერ გაიგეს მათი ვინაობა. ნაღმოსნები ზარბაზნებს უშენენ სახალინის (კაფაბუტოს) ნაპირის სხვადასხვა ადგილებს.

ტოკიო, 11 ივლისი. მანჯურიიდან მოსული აფიცერი ამბობს—მიშჩენკო დიდს ფაცა-ფუცშიაო. „პოლტავა“-ს სხვა გემებზე უფრო ნაკლები ზიანი აქვს, გვერდები ორ ადგილას იყო შენგრეული, მაგრამ საჩქაროდ კეთდება. ჩრდილოეთ კორეაში ისეთი წვიმებია, რომ ახლა სამხედრო მოქმედებანი შეუძლებელია. ვლადივოსტოკში რუსების ჯარი 60,000 კაცამდეა. ყოველ დღე ჰგზავნიან ჯარებს მდ. ტუმენისაკენ. სახალინზე დატყვევებული 14 აფიცერი და 437 ჯარის კაცი აომორის მოიყვანეს.

ნიუ იორკი, 11 ივლისი. კომურა ერთს ჟურნალისტს ესაუბრა და განაცხადა—ყვითელთა საფრთხე ზოგიერთ ევროპიელ დაინტერესებულთა წრეს-გადასულ შიშიანობის ნაყოფიაო. არამც თუ იაპონია და ჩინეთი, არამედ მთელი განათლებული ქვეყნიერობაც ხელს მოითბობს ამ ბრძოლითაო. იაპონია ყველაზე უფრო მადლობელია შეერთებულ შტატებისა, რომელმაც ხელი შეუწყო იაპონიის განათლებასა და ეროვნულს დიდებას 30 წლის განმავლობაში. კომურამ უარი განუცხადა ჟურნალისტს,—ზავის შესახებ მოლაპარაკების თაობაზე ვერაფერს გეტყვით.

პეტერბურგი. გენერალ ლინევიჩის ბრძანება 19 ივნისის თარიღით: „ჩემ მიერ ხელმწიფის სახელზე გაგზავნილ დეპეშის პასუხად მისმა უდიდებულესობამ გამაბედნიერა და 18 ივნისს შემდეგი საპასუხო დეპეშა მივიღე: „ღრმა მადლობას ვუძღვნი ჩემს ძვირფას მანჯურიელ ჯარებს იმ გრძნობათათვის, რომელიც მათ აღაფრთოვანებს. დეე, იცოდნენ, რომ ამ ომში ჩვენმა დამარცხებამ ჩემი მათდამი რწმენა, რომ ისინი უმაგალითო მამაცობასა და თავგანწირულობას იჩენენ, რათა ომი რუსეთისათვის საკეთილდღეოდ დაამთავრონ, და ამის მისაღწევად არა ზოგავენ თავსა“. „ნიკოლოოზ“. ჩემი დეპეშა იყო შემდეგის შინაარსისა:

„სააგენტოების დეპეშებმა ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყების თაობაზე ძლიერ დაღონა მანჯურიის მთელი მხედრობა, უფროს გენერლიდან დაწყებული უკანასკნელ ჯარის კაცამდე. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ვერავითარი დამარცხება,—ვერც ხმელეთსა და ვერც ზღვაზე,—ვერ შეარყევს რუსთა მამაც ჯარების ღრმა გადაწყვეტილებას—მომავალს ბრძოლებში უთუოდ დაამარცხონ მტერი და რუსეთს გამარჯვება აგემონ, თუნდა ამისთვის ყველამაც თავი გასწიროს. მანჯურიის ლაშქრების თითოეული ჯარის კაცი და აფიცერი მთხოვს, განვართხო თქვენის უდიდებულესობის ფერხთა წინაშე მათი განუსაზღვრელი გრძნობანი თქვენდამი ერთგულებისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა, და მოგახსენოთ, მანჯურიის მამაცი მხედრობა თავის სიცოცხლესაც კი სიამოვნებით შესწირავს, ოღონდ ეს სურვილი—მტერზე გამარჯვება—შეისრულოს, და ამით უკანასკნელ სისხლის წვეთამდის სამშობლოსადმი ერთგული სამსახური დაამტკიცოს“. ბედნიერი ვარ გამოგიცხადოთ თქვენ, რუსთა სახელოვანს მხედრობას, თვითმპყრობელ მეფის ასეთი ყოვლად მოწყალე სიტყვები“.

ტოკიო. გენზანიდან იუწყებიან: მზვერავთა სიტყვით, რუსები, რომელთაც პირველად ჩრდილოეთით დაიწიეს ტუმენიდან, ხელახლა გამოემართნენ სამხრეთისაკენ. ხერიანში 6,000 ჯარის კაცია. ეს ჯარი ამ ჟამად სცდილობს იაპონელთა შეფერხებას.—იაპონელთა და რუსთა ლაშქრებს შორის ახლა მხოლოდ 12 მილი მანძილიღა არის.

ნიუ იორკი, 11 ივლისი. კომურა წავიდა ნიუ იორკს, სადაც ტაკახირას შეხვდება, შემდეგ კი ორივენი ოისტერბეის წავლენ რუზველტის სანახავად. პორტსმუტში მზადება დასრულდა.

ტოკიო, 9 ივლისი. იაპონელებმა ზღვიდან სროლის შემდეგ სახალინის აღმოსავლეთად ორი ადგილი დაიპყრეს. რუსებმა ვლადიმიროვიდან ჩრდილოეთისკენ გზა გაიყვანეს და იქ სურსათის საწყობები გამართეს. ზღვის სანაპიროების ზოგიერთს ადგილებში ჯარის ხმელეთზე გადასაყვანად ტრანსპორტები იყო გამზადებული, მაგრამ იაპონელთა სამხედრო გემებმა ზღვით მიმოსვლის ყოვლის მხრით ხელი შეუშალეს.

მოჯი. ლინევიჩი ყოველ დღე ჰგზავნის მონგოლიაში აფიცრებსა და ჯარის კაცებს ნუზლიანოვაგის სასყიდლად. ადგილობრივი მოხელენი ძალას ატანენ მთავრობას, ყოველივე ღონისძიება მიიღოს, რომ ლინევიჩმა სამხედრო მოქმედება მონგოლიაში არ გადაიტანოს.

პარიზი. 4 ივლისს ოსმალებმა სასუნს სამის მხრიდან შეუტიეს იერიშით.

ფეცი. ფეშმ ძლიერ დაამარცხა აჯანყებულნი და განდევნა მენაქაის მაგარ პოზიციიდან.

პეტერბურგი, 11 ივლისი. საღამოს 10 საათზე ხელმწიფე პეტერგოფს დაბრუნდა.

პარიზი, 11 ივლისი. გაზ. „ტან“-ი ამბობს,—გერმანიისა და რუსეთის იმპერატორთა შეხვედრა სრულებით არაფერს შესცვლის ევროპის მდგომარეობაშიო. საფრანგეთ რუსეთის კავშირი ისე არ შეარყევს რუსეთ-გერმანიის დაახლოვებით, როგორც ინგლის საფრანგეთის დაახლოვებამ ვერ შეარყია რუსეთ-საფრანგეთის კავშირიო. ეს კავშირი —გეოგრაფიული და პოლიტიკური აუცილებლობაა.

გერმანიის ელჩმა რადოლინმა ინახულა ს. ვიტტე, რომელთანაც მეგობრულ განწყობილებაშია.

ხარკოვი. ხარკოვთან საბარგო ვაგონში რაღაცამ იფეთქა და მდუღარით საშინლად დაშავებული მემანქანე ლიანდაგზე გადმოაგდო.

ლონდონი. ბალფურის განცხადების შემდეგ, საზოგადოებათა პალატამ გადასწყვიტა, ერთ-ერთმა მინისტრმა მოითხოვოს პალატის კრების გადადება და, თუ პალატამ ეს წინადადება მიიღო, ნდობის გამოცხადების ნიშანი იქმნება. ასეთი წინადადება გელინჯემა შეიტანა, შემდეგ ბჭობა დაიწყო. კემპბელ-ბანერმანმა სთქვა, მთავრობის მოქმედება კონსტიტუციას ეთანხმებაო. რედმონდმა განაცხადა, ბალფურს არა აქვს უფლება ირწმუნებოდეს, რომ მხოლოდ იმის პატიოსნებას შეუძლიან ქვეყნის საგარეო ინტერესები დაიცვასო. კონსტიტუციონალისტთა მოთავეობას შეერთდნენ და ბოლო მოუღონ ეხლანდელ მთავრობას ეხლანდელ პარლამენტის მოქმედების დროს. რაც შეეხება ნაციონალისტებს, ჩვენ არც დავენდობით და არც მათი ნდობა გვინდაო. თუ რომ მთელი ოპოზიცია ერთსულად ამ აზრისა იქმნება, მაშინ ამ მთავრობას, რომელიც სხვადასხვა ელემენტებისაგან არის შემდგარი, მალე მოვიშორებთო.

დროებით რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

გამგეობა

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით აცხადებს, რომ 14 ამა ივლისს, ბანკის სადგომში, ქ. ტფილისს, ფრეილინის ქუჩაზე, დღის 12 საათზე, დანიშნულია განმეორებითი და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა, რომლებიც ამ ბანკშია დაგირავებული და რომლებიც პირველ საჯარო ვაჭრობაზე არ გაიყიდა. პირველი საჯარო ვაჭრობა დანიშნული იყო 27, 28 და 30 წარსულ ივნისის თვეში.

ბანკის წესდების მე-17 § თანხმად, ვაჭრობა დაიწყება იმ ვალის რაოდენობიდან, რომელიც აღნიშნულია ქვემოდ. ამას მიემატება გადაუხდელი თანხა და აგრეთვე საერობო და საქალაქო გადასახადები.

ვისაც შევაჭრება სურს, ნაღდ ფულად უნდა წარმოადგინოს რაოდენობა იმ ფულისა, რომელიც უდრის მამულზე დარჩენილ ვალისა და მათზე გაწერილ საერობო და საქალაქო გარდასახადთა ჯამს. ეს ფული წარმოდგენილ უნდა იქმნეს ვაჭრობის დაწყებამდის.

მამულის დასამტკიცებელი და ვაჭრობის დროს დანამატები ფული წარმოდგენილ უნდა იქმნეს 14 დღის განმავლობაში, ვაჭრობის დასრულების შემდეგ.

თავნი ვალი მამულების მეიდველს შეუძლიან თავისს თავზე გადაიწეროს იმ პირობებით, რა პირობებითაც წინანდელ პატრონსა ჰქონდა.

წესდების მე-15 § ძალით, პატრონს შეუძლიან ვაჭრობამდის გადასახადი შემოიტანოს ვაჭრობის დაწყებამდე და თავისი მამული ვაჭრობიდან გაანთავისუფლოს.

ვაჭრობის მოსურნენი გასასინჯად დანიშნულ მამულების შესახები ქაღალდები და დოკუმენტები შეუძლიათ გადასინჯონ ბანკის კანცელარიაში ყოველ უბირდღეს, ბანკში მუშაობის დროს.

ამასთანავე ბანკის მმართველობა იუწყება, რომ ბანკი პასუხის მგებელი არ არის, თუ მამულის წინანდელ აღწერილობასა და აწინდელ მის მდგომარეობის შორის რაიმე განსხვავება იქმნება.

I. ქალაქის მამულები

ქ. ტფილისში

არუთინოვი დარჩო მოსეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 105 ოთხკ. საჟ., მე-9 ნაწ., არსენალის ქუჩაზე.
თავნი ვალი 21231 მ. 37 კ. შესატ. გადასახადი 843 მ. 41 კ. სულ 22074 მ. 78 კ.

მარკოზოვები მარიამ და ნინო გრიგორის ასულნი: შენობანი და მიწა, ზომით 94 ოთხკ. საჟ. მე-6 ნაწ., მნაცაკანოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 5773 მ. 58 კ. გადასახადი 271 მ. 11 კ. სულ 6044 მ. 69 კ.

მელიქოვი ნიკოლოზ ლევანის ძე: შენობანი და მიწა, ზომით, ოთხკ. საჟ., მე-4 ნაწ., ლაბორატორნისა ერმოლაისა და ახალ ბებუთოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 106486 მ. 75 კ., გარდასახადი 4045 მ. 28 კ., სულ 110532 მ. 3 კ.

მიღოვსკი კონსტანტინე პავლეს ძე და ჟურავლევის ანტონინა ეგნატეს ასული: შენობანი და მიწა ზომ დოკუმენტით 329 ოთხკ. საჟ., შეფასების აქტით 497 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწ. კარაკლისის ქუჩაზე.
თავნი ვალი 14283 მ. 75 კ, გადასახადი 599 მ. 41 კ., სულ 14883 მ. 16 კ.

ოსიკინის მარიამ პროკოფის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 173,4 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწ. ობსერვატორიისა და ბებუთოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 4287 მ. 14 კ. გადასახადი 189 მ. 07 კ., სულ 4476 მ. 21 კ.,

ქერბალაი-აბას-ქული-მელიქ ოღლი: შენობა და მიწა ზომით 50 ოთხკ. საჟ. დაფასების აქტით, 2 ნაწილში, უსახელო ქუჩაზე, რომელიც კუბის ქუჩის მარჯვნივ მიდის.
თავნი ვალი 2263 მ. 32 კ. შესატ. გარდ. 121 მ. 34 კ., სულ 2384 მ. 66 კ.

ქერბალაი მირ-დადაშ-მირ-ახმედ-ოღლი: მიწა და შენობები, ზომით 130,6 ოთხკ. საჟ. დაფასების საბუთებით ქვემო პრიუტის ქუჩა.
თავნი ვალი 21325 მ. 92 კ. შესატ გარდ. 808 მ. 81 კ., სულ 22134 მ. 73 კ.

მეშადი-ისკანდერ-ადჯ-ნასრულა-ბეკ ოღლი: შენობანი და მიწა, ზომით 62 ოთხკ. საჟ., ქვემო პრიუტის ქუჩაზე.
თავნი ვალი 5227 მ. 52 კ., შესატ. გარდ. 231 მ. 77 კ., სულ 5459 მ. 29 კ.

ნაჯაროვი ალექსანდრე სერგის ძე: შენობები და მიწა ზომით 76,6 ოთხკ. საჟ., პერსიდსკაია ქუჩაზე.
თავნი ვალი 5875 მ. 42 კ., შესატ. გარდ 263 მ. 44 კ. სულ 6138 მ. 86 კ.

ორდუხანოვები, ზამბახა არაქელის ასული და არშაკ და სათენიკა ჯანგიროვები: შენობები და მიწა ზომით 150 ოთხკ. საჟ., მეორე პარალელ ქუჩ და კუბის ქუჩაზე.
თავნი ვალი 17723 მ. 19 კ., შესატ. გარდ. 734 მ. 65 კ., სულ 18457 მ. 84 კ.

სერგეიანი, სავათელ ისაკის ძე: შენობანი და მიწა; ზომით 180 ოთხკ. საჟ., პარალელ და პერსიდკაია ქუჩაზე
თავნი ვალი 11547 მ. 15 კ., შესატ. გარდ. 487 მ. 90 კ., სულ 12035 მ. 05 კ.

ხაჩატუროვი აირაპეტ ოჰანეზის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 92,5 ოთხკ. საჟ., კრასნოკრესტოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 3797 მ. 50 კ., შესატ. გარდ. 149 მ. 55 კ, სულ 3947 მ. 05 კ

ქალ. ბათუმში

თაიროვი, ივანე ალექსანდრეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 1793,2 ოთხკ. საჟ., ტფილისის და კლადბიშენსკაია ქუჩა.
თავნი ვალი 76462 მ. 64 კ., შესატ. გარდ. 2907 მ. 79 კ., სულ 79370 მ. 43 კ.

ქალ. ფოთში.

დადიძე ერემია სიმონის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 676 ოთხკ. საჟ., ივანოვის და კავკაზის ქუჩ.
თავნი ვალი 1219 მ. 11 კ, შესატ. გარდ. 180 მ. 87 კ., სულ 1399 მ. 98 კ.

ქალ. სუხუმში.

გოჩელეიშვილის ანნა მიხეილის ასული: შენობები და მიწა, ზომით 82 საჟ. 2 არშ. და 9 გოჯი, ბაზრის ქუჩაზე.
თავნი ვალი 2486 მ. 59 კ., შემოსატ გარდ. 131 მ. 97 კ., სულ 2618 მ. 56 კ.

ჭილაია ალექსი უჩას ძე: შენობები და მიწა, ზომით 210 ოთხკ. საჟ. ეკატერინეს და ვასილიევის ქუჩ.
თავნი ვალი 10029 მან. 29 კ., შემოსატ. გარდ. 423 მ. 8 კ., სულ 10453 მ. 37 კ.

ქალ გორში.

ზუბიევი გაბრიელ იოსების ძე: შენობები და მიწა, ზომით დაფასების აქტით 113 ოთხკ. საჟ.
თავნი ვალი 5048 მ. 36 კ., შესატ. გარდას. 221 მ. 93 კ., სულ 5279 მ. 29 კ.

კაპანაძე თეიმურაზ ზაქარიას ძე: შენობები და მიწა, ზომით 252 ოთხკ. საჟ.
თავნი ვალი 4923 მან. 11 კ., შესატ. გარდ. 189 მ. 01 კ., სულ 5112 მ. 12 კ.

პარავიანცი სიმონ ოჰანესის ძე: შენობანი და მიწა, ზომით დოკუმ. 55 ოთხკ საჟ., შეფასების აქტით 88 ოთხკ. საჟ, მე-5 ნაწ. აბას-აბადის შესახვევში
თავნი ვალი 12966 მ. 44 კ. გადასახადი 496 მ. 54 კ. სულ 13462 მ. 98 კ.

პეტროვსკი ფრანც ივანეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 106 ოთხკ. საჟ., მე-4 ნაწ. ამაღლების ქუჩაზე.
თავნი ვალი 6694 მ. 25 კ. გადასახადი 266 მ. 77 კ. სულ 6961 მ. 02 კ.

პორტნოვი ვასილი იაკინთეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 120,86 ოთხკ. საჟ., მე-8 ნაწ. რიყის ქუჩაზე
თავნი ვალი 17320 მ. 73 კ. გადასახადი 708 მ. 34 კ. სულ 18028 მ 77 კ.

როგოვენკო ანნა ილიას ასული და იაკობ ნიკოლოზის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 262 ოთხკ. საჟ, მე-9 ნაწ. ანდრეევის ქუჩაზე.
თავნი ვალი 24826 მ. 68 კ. გადასახადი 952 მ. 27 კ. სულ 25778 მ. 95 კ.

სარქისოვი ალექსანდრე სარქისის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 31 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწ. 2-ე ერმოლოევის ქუჩაზე
თავნი ვალი 1378 მ. 48 კ. გადასახადი 60 მ. 07 კ. სულ 1438 მ. 55 კ.

ტერ-სარქისოვი ივანე სერგოს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 120 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწ. დიდუბეში.
თავნი ვალი 19640 მ. 48 კ. გადასახადი 720 მ. 46 კ. სულ 20360 მ. 94 კ.

თოროზოვი გრიქურა მელქოს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 78 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწ. გრუზინსკის ქუჩაზე.
თავნი ვალი 3808 მ. 21 კ. გადასახადი 177 მ. 54 კ. სულ 3985 მ. 75 კ.

ხოდოზოვი კონსტანტინე ანდრიას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 84 ოთხკ. საჟ, მე-7 ნაწ. ნორიის და მახათას ქუჩაზე.
თავნი ვალი 14823 მ. 54 კ. გადასახადი 568 მ. 16 კ. სულ 15391 მ 70 კ

ფომინი როდიონ ივანეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 63 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწ. გოგოლის ქუჩაზე.
თავნი ვალი 7595 მ. 01 კ. გადასახადი 322 მ. 09 კ. სულ 7917 მ. 10 კ.

ქალაქ ბაქოში

ადამალოვები გრიგოლ ისაის ძე, ვარსენიკა და რებეკა გრიგოლის ასულნი 3 ქადანთაროვებისა თამარა გრიგოლის ასული; არტემიევისა ანნა გრიგოლის ასული და ბოიაჯიანი ნატალია გრიგოლის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 460,2 ოთხკუთ. საჟ. ვრანგელისა და სპარსეთის ქუჩ.
თავნი ვალი 112612 მ. 31 კ., შესატ. გარდ. 4377 მ. 86 კ., სულ 116990 მ. 17 კ.

ასლანოვი ბაბიჩ არტემის ძე: შენობები და მიწა, ზომით 100 ოთხკ. საჟ. პარალელურ და სომხის ქუჩ.
თავნი ვალი 8763 მ. 47 კ., შესატ. გარდას. 367 მ. 95 კ., სულ 9131 მ. 42 კ.

ბარტდორფი გუსტავ თეოდორეს ძე: შენობები და მიწა, ზომით 569,58 ოთხკ. საჟ., ტრამვაის ქუჩაზე.
თავნი ვალი 65516 მ. 65 კ., შესატ. გარდ. 3325 მ. 46 კ., სულ 68842 მ. 11 კ.

გაჯიევი ჰუსეინ-ჰაჯი-ჯებრაილ-ოღლი: შენობები და მიწა, ზომით 74 ოთხკ. საჟ. მეორე ნაწილში, წყლის-სახიდ ქუჩის ბოლოზე.
თავნი ვალი 2309 მ. 43 კ., შესატ. გარდას. 112 მ. 73 კ., სულ 2422 მ 16 კ.

ჯანბაბოვი კასპარ სარქისის ძე: შენობები და მიწა, ზომით 150 ოთხკ. საჟ., მე-3 პარალელურ ქუჩაზე.
თავნი ვალი 19554 მ. 84 კ. შესატ. გარდ. 732 მ. 67 კ. სულ 20287 მ. 51 კ.

კაფიევი-ბადასაროვები ბალო, მარდია, ავაქ, ივანე და აირაპეტ ხაჩატურის ძენი და მარქარ ალექსანდრეს ძე: მიწა და შენობა, ზომით 150 ოთხკ. საჟ., შემახისა და მე-4 პარალელურ ქუჩ.
თავნი ვალი 8712 მ. 56 კ. შესატ. გარდას. 357 მან. 16 კ., სულ 9069 მ. 72 კ.

ლომიძე, დარია იაკობის ასული: ხილ-ვენახის ბაღი, მიწა, ზომით 492 ოთხკ. საჟ.
თავნი ვალი 475 მან. 11 კ., შესატ. გარდ. 33 მ. 37 კ., სულ 508 მან. 48 კაპ.

ქალ. განჯაში.

ჯაგეტიანცი, ალექსანდრე მიქას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 394,6 ოთხკ. საჟ. შეფასების აქტით და 423 ოთხკ. საჟ. დოკ., კერეზმანუტის და მელიქოვის ქუჩ.
თავნი ვალი 14605 მან 76 კ., შესატ. გარ. 546 მან. 73 კაპ., სულ 15152 მან. 49 კაპ.

II. სოფლის მამულები,

რომელზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული.

ტფილისის გუბ.

ტფილისის მაზრა.

ბაირამ ქერბალაი და ნაბი-ქერბალაი ნური-ოღლი, ალი-ორუჯ-ოღლი და სხვ.: სხვა და სხვა მიწა, ზომით 212 დეს. 454 ოთხკ. საჟ., იორა-მუღანლოს სოფ.
თავნი ვალი 6701 მან. 14 კაპ., შესატ. გარდ. 234 მან. 58 კაპ., სულ 6935 მ. 72 კ.

გრუზინსკისა, თამარა დავითის ასული: სათიბი, ზომით 106 დეს., სოფ. მუღანლო.
თავნი ვალი 2878 მან. 69 კ., შესატ. გარდ. 115 მან. 25 კაპ., სულ 2993 მ. 94 კ.

ქერბალაი-ისა-რუსტამ-ოღლი ზილიფხაროვი, ქერბალაი-უსეინ და კერბალაი ბაირამ, ქერბალაი-ნავრუზ-ოღლი და ალი-ასან-ოღლი: სხვა და სხვა გვარი მიწა, ზომით 109 დეს, 2227 ოთხკ. საჟ., სოფ. მუღანლო.
თავნი ვალი 2857 მან. 86 კაპ., შესატ. გარ. 107 მ. 24 კ., სულ 2965 მან. 10 კაპ.

მუღანლოს სოფლის საზოგადოება, სხვადასხვა მიწა, ზომით 125 დეს. 1524 ოთხკ. საჟ., სოფ. იორა მუღანლო.
თავნი ვალი 2878 მ. 69 კ. გადასახადი 105 მ. 40 კ. სულ 2984 მ. 09 კ.

ოსტენ-საკენი სალომე დავითის ასული: სხვადასხვა მიწა, 106 დეს. იორა მუღანლოს სოფ.
თავნი ვალი 2878 მ. 69 კ. გადასახადი 115 მ. 25 კ. სულ 2993 მ. 94 კ.

სოფ. მუღანლო გლეხთა საზოგადოება, სახნავი და სათიბი შენობანი და მიწა, ზომით 106 დ., სოფ. მუღანლო.
თავნი ვალი 2878 მ. 69 კ. გადასახადი 105 მ. 40 კ. სულ 2984 მ. 09 კ.

გორის მაზრა.

დაბაძენი აბრამ, მათე, ზურაბ, დიმიტრი და ლუკა გიორგის ძენი: შენობა, სხ. და სხ. მიწა, 7 დ. 2040 ოთხკ. საჟ, სოფ. ნასტეს
თავნი ვალი 972 მ. 02 კ. გადასახადი 41 მ. 92. კ. სულ 1013 მ. 94 კ.

ნაკაშიძე ივანე, ალექსანდრე, ილია, ლევან, ნიკოლოზ და ელენე პეტრეს ძენი და ასული და ვარვარა სოლომონის ასული: სხვადასხვა მიწა, 49 დეს 1702 ოთხკ. საჟ., ბეგლეთს და ბერკეულას.
თავნი ვალი 790 მ. 5 კ. გადასახადი 35 მ. 44 კ. სულ 825 მ. 49 კ.

პეტრიმღვდლიშვილი გიორგი გაბრიელის ძე: სახნავი 5 დეს. 1820 ოთხკ. საჟ., სოფ. ახრისი.
თავნი ვალი 292 მ. 22 კ. გადასახადი 29 მ. 74 კ. სულ. 321 მ. 96 კ.

ციცქიშვილის ნატალია ალექსანდრეს ასული: (საჯარო ვაჭრობით ნაყიდი ალექსანდრე ადამისძის სალარიძისეული მამული) სხვადასხვა მიწები ზომით 20 დეს. 1880 ოთხკ საჟ. სოფ. ფხვენისი.
თავნი ვალი 1018 მ. 07 კ. შესატ. გარდ. 36 მ. 78 კ სულ 1055 მ. 05 კ.

თელავის მაზრა.

ტარასოვი მიხეილ გიორგის ძე: (საჯარო ვაჭრობით ნაყიდი იაგორ არტემის ძის ოსკანოვისეული მამული). სხვადასხვა მიწები ზომით 44 დეს. 1460 ოთხკ. საჟ. სოფ. კონდოლსა და კისისხევში.
თავნი ვალი 4563 მ. 28 კ. გარდასახადი 156 მ. 28 კ სულ 4719 მ. 56 კ.

ჩიჯავაძე-მახვილოვი, ზაქარია გაბრიელის ძე: სხვადასხვა მიწ ზომით 116 დეს. 2010 ოთხკ. საჟ სოფ კისის-ხევში.
თავნი ვალი 4142 მ 76 კ გარდასახადი 137 მ. 34 კ. სულ 4280 მ. 10 კ.

თიანეთის მაზრა.

ზითანაშვილი გიორგი სოსიას ძე, ბუჯიაშვილი გიორგი ივანეს ძე და სხ.: სხვა და სხვა მიწები, ზომით 245 დეს. 860 ოთხკ. საჟ. სოფ. სიონ-დიგმელაური.
თავნი ვალი 2434 მ. 83 კ. გარდასახადი 90 მ. 25 კ. სულ 2525 მ. 08 კ.

განჯის გუბერნიასა და მაზრაში.

ჯამილინსკაია, გაჰარ ხანუმა: სხვადასხვა მიწები ზომით 985 დეს. 677 ოთხკ. საჟ. სოფ. მოლლა-ვალატი.
თავნი ვალი 5976 მ. 93 კ. შესატ. გარდ. 201 მ. 20 კ. სულ 6178 მ. 13 კ.

ზიატხანოვები, ჰასან-ხანი კაჯრამან ხან და ნაზლუ ბეგუმ ჰასან ფაშა ყიზი: სახნავი და სათესი მიწები, ზომით 263 დეს. ხროკ არაფლუში.
თავნი ვალი 3984 მ. 63 კ. შესატ. გარდ. 137 მ. 32 კ. სულ 4121 მ. 95 კ.

რუდმეტკინი პეტრე პეტრეს ძე: სხვა და სხვა მიწ. ზომით შეფასების აქტით 3181 დეს. სახელად „იაგ-სატანი“
თავნი ვალი 37696 მ. 59 კ. შესატ. გარდ. 1218 მ. 52 კ. სულ 38915 მ. 11 კ.

რუდმეტკინი პეტრე პეტრეს ძე: სხვა და სხვა მიწა, ზომით 1348 დეს. 1200 ოთხკ. საჟ სოფ. ბოზ-ერი-სარი-დაგ-ბოზ-დაგ.
თავნი ვალი 4967 მ. 14 კ. შესატ. გარდას. 169 მ 12 კ., სულ 5136 მ. 26 კ.

სოფლის მამულები,

რომელთა გირავნობით გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი.

ტფილისის გუბერნია.

ტფილისის მაზრა.

ვორონინი ნიკიტა ისაიას ძე: სათიბი, ზომით $2\frac{1}{2}$ დეს. სოფ. ყარაჯალაში.
თავნი ვალი 125 მან., შესატ გარდას. 26 მ. 80 კაპ., სულ 151 მ. 80 კ.

თელავის მაზრა.

გადუაშვილები გიორგი და საბა იოსების ძენი: სამოსახლო და ვენახი, ზომით 2 დესეტ. 2210 ოთხკ. საჟ, სოფ. ყვარელში.
თავნი ვალი 1000 მან., შესატ. გარდას. 52 მან. 52 კ., სულ 1052 მან. 52 კ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 12 іюля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.